საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 19 დეკემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 4 მანეთი. მეოთხე გვერდზე— 3 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 80 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედაქცია და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 289 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 289

ანა და მაქრო ნაცვლიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ამხანაგებს, რომ პარასკევს, დეკემბრის 19 სა, ნაშუადღევს 2 საათზე, დანიშნულია ომში გმირულად დაღუპულ

სანდრო მაისურაძის

სამოქალაქო პანაშვიდი წლის თავის აღსანიშნავად ძმათა სასაფლაოზე. (3304—2—2)

ელენე ერასტის ასული ქვრივი ს. მაისურაძისა შვილებით, დაი სონა ნაზიქვრიშვილისა, სიდედრი დესპინე ცერცვაძისა გულის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ მეგობრებს, რომ პარასკევს, დეკემბრის 10, ნაშუადღევის 2 საათზე, გადახდილ იქნება წლის თავის სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე გვარდიის მთავარ შტაბის თავმჯდომარის ამხანაგის

გმირის სანდრო მაისურაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. (3304—2—2)

თფილისის პროფესიონალური კავშირების საბჭოსთან არსებული სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგეობა აუწყებს ნაცნობთ და ამხანაგებს, რომ პარასკევს, დეკემბრის 19, ნაშუადღევს 2 საათზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე

სანდრო მაისურაძისა

ომში გმირულად დაღუპვის წლის თავის მოსაგონებლად (3304 2-2)

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი აცხადებს, რომ ა. წ. 19 დეკემბერს ეკატერინოფელდის ბრძოლის წლის თავზე ძმათა სასაფლაოზედ (ნაძალადევი, ხუდადოვის ტყე) იქნება გადახდილი სამოქალაქო პანაშვიდი ამ ბრძოლაში დახოცილ

გვარდიელების

ხსოვნის აღსანიშნავად. დასაწყისი დღის 2 საათზე. (ნ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ონისიმე და სულო, ძმები აკაკი და კიტა, დები: ვასასი, ანიჩკა და ვარო, სიძენი: გიორგი ჩხეიძე და ნოე ნუცუბიძე მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, 19 დეკემბერს, ძმათა სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სომხებთან ომში მოკლულ სახალხო გვარდიელის დაუვიწყარ

ფილიპე ონისიმეს ძე რამიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად. დასაწყისი დღის 2 საათზე. (უფ. 1—1)

გულდათუთქული მშობლები: მამა გიორგი, დედა სარა, ძმები: სიმონ, ამბროსი, კოწია, და თამარა, რძლები: ნინა და სონა, ძმისწულები: მარიამ, ჰიჰიკო, შოთა, ევგრაფი, ჰიპოკრატი, ვენერა და კარლო შევარდნაძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ შაბათს, 20 დეკემბერს, (ახ. სტილით) ასკანის ყველა ეკლესიებში გადახდილ იქნება პანაშვიდი საყვარელი

ლოტი (აქსენტი) შევარდნაძის

სადახლოში სომხებთან ბრძოლაში დაკარგვის წლის თავის აღსანიშნავად. (3279—1—1)

ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

ივანე თევდორეს ძე მუნჯიშვილი

რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გულ დათუთქული ცოლი ალექსანდრა მაქსიმეს ასული, შვილი ვალერიანი, დედა ელისაბედი დები: დარო, ანნა, თებრო, სონა, ძმა ალექსა მუნჯიშვილი, დისწული ვიქტორი წამალაშვილი. პანაშვიდი პარასკევს, 19 ქრისტეშობისთვეს საღამოს 6 საათზე, ცხედარს მოასვენებენ ქაშვეთის ეკლესიაში, კვირას 21 ამ თვეს დილის ათ საათზე. ბინა—პლეხანოვის ქ. № 124. (3310—1—1)

თფილისის სამაზრო ერობის გამგეობის ტეხნიკური განყოფილება

აცხადებს რომ მოეწყო სამგზავრო მიმოსვლა თფილის-ალბულახ და მანგლის შუა

ლინეიკა გადის:

ალბულახისკენ: ოთხშაბათობით და შაბათობით.
მანგლისისკენ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ბრუნდება თფილისისკენ:

ალბულახიდან: ორშაბათობით და ხუთშაბათობით.
მანგლისიდან: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ფასები:

თფილისიდან ალბულახში და უკან—200 მან.
თფილისიდან მანგლისში და უკან—200 მან.

ლინეიკები გადიან ორივე მხარისაკენ ერობის ბინიდან და ბილეთები იყიდება აქვე, რუსთაველის ქ. № 6. (ნ.—3—2)

სამაზრო ერობისათვის პროვინციაში საჭიროა მთავარი

ბუღალტერი, თანაშემწეები და მოანგარიშენი.

პირობების გაგება შეიძლება ერობათა კავშირის კომიტეტის ბინაზე, დილის 9—3 საათ. პეტროგრადის ქ. № 12. (ნ. 2—2)

ოზურგეთის სამაზრო ერობის გამგეობა

იწვევს საერობო სამსახურში ექიმებს და სკოლის ფერშლებს, პირობები ექიმებისათვის: ჯამაგირი 3000—5000 მანეთამდე, ბინა 2—3 ოთახით და გათბობით;—ფერშლებისთვის: ჯამაგირი 2590 მან. ოთახი და გათბობა. მსურველებმა უნდა გამოგზავნონ თხოვნასთან ერთად დოკუმენტების დედანი ან შემოწმებული ასლი და მოკლე „კურიკულუმ ვიტე“. (ნ. 3—3)

სახელმწიფო თეატრი

კვირას
21
დეკემბერს

ნინო ჩხეიძის

იუბილე

ოცდა ხუთი წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

დილით:
I განყოფილება
საიუბილეო ზეიმი
II განყოფილება
„აბესალომ და ეთერი“
მე-2 რე მოქმედება ზ. ფალიაშვილის ოპერიდან. მონაწილეობას იღებს საოპერო დასი.

საღამოთი:
საიუბილეო წარმოდგენა
I განყოფილება
„უბედური ნაბიჯი“
დრამა 3 მოქ. კარეევისა.
II განყოფილება
„ლალატი“
მე-5 მოქ. ა. სუმბათაშვილის დრამიდან.

დასაწყისი დილის ზეიმისა სრულ 12 ს., საღამოს წარმოდგენისა სრულ 8 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. (ნ. 4—2)

რკინის გზელთა ცენტრალური კულტურულ-განმანათლებელი კომისია აცხადებს, რომ ყოველ-თვიური სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი № 1

„ცისარტყელა“

გამოვა 20 დეკემბერს. ყოველგვარ პირობების გასაგებათ მსურველებმა წინდაწინვე უნდა მიმართონ ამავე კომისიას.—ელისაბედის ქუჩა № 200. (უფ. 3—3)

საქართველოს სახაზინო რკინის გზელების კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ

კულტურა განათლების

კომისიას განზრახული აქვს შეიძინოს პროფესიონალური, ლიტერატურული და პოლიტიკური ხასიათის ქართული წიგნები. მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე ხსენებულ კომისიის თავმჯდომარესთან დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. ელისაბედის ქუჩა № 200. (ნ. 6—1)

დენიკინის რისხვა

საქართველოს ცაზე გავარდა მეხი, მაგრამ მადლობა ღმერთს, როგორც რუსები იტყვიან, не из тучи, а из кучи. ბატონი დენიკინი საბოლოოთ გაგვირისხდა. კიდევ მეტი, ის ევროპასაც გაუწყრა. გენერალმა საზონოვს პარიზს მისწერა—გადაეცი ევროპას, რომ ასეთ რამეებს „არ მოვითმენო“. საქმე შემდეგშია. ევროპა ბოლოს და ბოლოს დარწმუნდა, რომ რეაქციონური გენერლები რუსეთის საქმეს ვერ გადასჭრიან. მათ მოსწყინდათ ამდენი უაზრო და უმიზნო ხარჯი მოხალისეთა ურდოს სარჩენათ, და მათი სარუსეთო პოლიტიკაც იცვლება. ანტანტა, თუმცა ფრთხილათ, მაგრამ თანდათან იმ გზას ადგება, რომ ყოფილ რუსეთის ახალი სახელმწიფონი იცნოს. ეს გარემოება, რასაკვირველია, მოსვენებას არ აძლევს დობროვოლიის მესვეურებს და აი ბატონმა დენიკინმაც წარმოსთქვა თავის „გადამწყვეტი“ და უკანასკნელი სიტყვა. ის საზონოვს ატყობინებს, გადაეცი ევროპას, რომ მთავარსარდლობის მიზანია რუსეთი გაამთლიანოს და ამიტომ ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს რომ დროებითმა სახელმწიფოებრივმა ერთეულებმა რაიმე ხელშეკრულებანი დასდონ უცხო სახელმწიფოებთან და სხვადასხვა კონცესიების სახით მთლიანი რუსეთის ქონება გაფლანგონ. როგორც ირკვევა, განაგრძობს გენერალი, ასეთი ხელშეკრულებათა დადება განუზრახავს საქართველოს, აზერბეიჯანსა და სომხეთს და იცოდეს მოკავშირეთა მთავრობებმა, რომ ჩემდა დაუკითხავათ დადებული ამგვარი პირობანი არ იქნება ცნობილი მთლიანი რუსეთის მთავრობის მიერ. დიდი ოხუნჯი არ ყოფილა ეს მთლიანი რუსეთის გამგე გენერალი. იუმორისტობა კარგია, მაგრამ კომიზმის თეორია ამბობს, რომ აუცილებლათ საჭიროა ზომიერების გრძნობაო. აქ კი იმდენათ გადაამლაშა გენერალმა, რომ იუმორის მაგიერ კლოუნობა გამოვიდა.

აბა მეტიჩრობა ამაზე შორს წავა? ამდენხანს დენიკინი და მისი ამყოლნი ანტანტის ხარჯზე ებრძოდენ ბოლშევიკებს. ისინი ევროპის ბირჟის მიერ დაქირავებულნი თავიანთ სამშობლოს, თუმცა გონჯსა და დროებით დამახინჯებულს თავს ესხმოდენ. პატრიოტიზმის დროშის ქვეშ სამშობლოს და მშობელი ხალხის ბედს თავის მამულს და ვიწრო კლასიურ ინტერესებს ანაცვალებდენ. მაგრამ ისტორიის მიერ განწირულმა წოდებმა ვერ მიაღწია თავის „პატრიოტულ“ მიზნებს და ვერც თავის დამქირავებელის იმედები გაამართლა. ანტანტა რასაკვირველია გადგებას უპირებს სამსახურიდან ამ ზარმაც მონას. ხოლო ეს უკანასკნელი იმდენათ გაკადნიერდა, რომ მუქარის კილოთი ელაპარაკება არა მარტო ჩვენ ყოფილ რუსეთის ახალ სახელმწიფოებს, არამედ თვით ევროპასაც დენიკინი ალექსანდრე მაკედონელის ან ბონაპარტის პოზაში! რა მდიდარი მასალაა იუმორისტულ ჟურნალისათვის.

საქართველო, სომხეთი, აზერბეიჯანი თურმე დენიკინის სამფლობელო ყოფილა. საქართველოს არ შეუძლია კონცესია გასცეს, თუ დენიკინს არ შეეკითხა. ჩვენ ეგრეთ წოდებული სახელმწიფონი ვყოფილვართ, ხოლო დენიკინის მოხეტიალე ურდო ნამდვილი სახელმწიფოა და ისიც მუდმივი, გარდაუვალი. ვისი სახელით ლაპარაკობს გათავხედებული გენერალი, რომელი სახელმწიფოს წარმომადგენელია, რომელია მისი ხალხი? სადაა მისი ტერიტორია?! თუ ამდენ ხანს მის სიტყვას კიდევ უწევდა ვინმე ანგარიშს, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მის ზურგს უკან ევროპის ბირჟა იდგა; ეხლა კი ნეტავ რაღას ფაფხურობს!

მეტად საგულისხმიეროა დენიკინის ნოტაში ერთი გარემოება. მას აქ დიდი მარცხი მოუვიდა. მას უცაბედათ წამოსცდენია ის, რაც გულში უნდა ჰქონოდა ჯერჯერობით. საქმე სომხეთს ეხება. ამდენ ხანს დობროვოლიის დიპლომატია თითქოს სცნობდა სომხეთის დამოუკიდებლობას; ჩვენ ეს არას დროს არ გვჯეროდა. ის ხალხი, რომელსაც ალექსანდრეტა რუსის პორტათ ესიზმრებოდა, რასაკვირველია, არამც თუ ყოფილი რუსეთის სომხეთს, არამედ სპარსეთ ოსმალეთის სომხეთსაც კი ვერ მოითმენს, როგორც სუვერენულ სახელმწიფოს, მაგრამ სხვადასხვა მოსაზრებების გამო იმათ თითქოს იცვნეს სომხეთის დამოუკიდებლობა. ეს დიპლომატიური ოინი იყო, მაგრამ სალდაფონმა საქმე აურია დობროვოლიის მოჭადრაკე დიპლომატებს. როგორც ეტყობა, ზემოხსენებული დიპლომატიური დეპეშში გენერალმა კეთილ ინება და თვით დასწერა და ამგვარათ დიპლომატთა იდუმალი ზრახვანი სააშკარაოზე გამოიტანა. გენერალი სწერს: რის სომხეთი, სადაური სომხეთი. არარატის რესპუბლიკამ რომ მაგალითად გოქჩის ტბაზე კონცესიის გაცემა მოინდომოს, თურმე ეს კითხვა ერევანში კი არ გადაწყდება, არამედ ტაგანროგში, როსტოვში ან სხვა რომელიმე ადგილს, სადაც ამ დროს იქნება დობროვოლიის ქოჩათმავალ სახელმწიფოს გამგენი. ეს დეპეშა კარგად დაიმახსოვრონ სომხეთის მეთაურებმა და თუ ამდენ ხანს კიდევ ჰქონდა სომხის ხალხში ადგილი დობროვოლიის მათდამი კეთილგანწყობილების ილიუზიებს, ამიერიდან ის სამუდამოთ უნდა გაიფანტოს.

რაც შეეხება ჩვენ მიმართ მუქარას, ეს საქართველოს წარბსაც ვერ შეახრევინებს. საქართველოს დემოკრატიამ იცნო თავის თავი, ის მტკიცეთ და თავდადებით ადგია თავის მართალ გზას. მან უკვე განამტკიცა თავისუფლება და მის კისერს აწი ვერ დაადგამს მონობის უღელს არამც თუ დენიკინის ბუტაფორიული სახელმწიფო, არამედ ნამდვილი რუსეთიც კი. საქართველოს დემოკრატია ძმური განწყობილებითა და კავშირით იცხოვრებს ყველა ერებთან, ყველა სახელმწიფოებთან და მათ შორის აღდგენილ რუსეთთანაც. საქართველოს რესპუბლიკა დაბადებისათანავე საერთაშორისო ძმობის ემბაზში მოინათლა. ეს ქვეყანა ყველაზე უაღრესათაა გამსჭვალული ერთა სოლიდარობის გრძნობით. მაგრამ გაბატონებით არავის გაიბატონებს. „არც არავის ყმა ვიქნები, არც არავის აღარ ვიყმობ“—ასეთია საქართველოს დემოკრატიის გზა.

ეკატერინოფელდი

ეკატერინოფელდი ისტორიული გახდა. მისი გახსენება ერთ და იმავე დროს მწუხარებასაც იწვევს და სიხარულსაც. მწუხარებას იმიტომ, რომ ეს არის მოგონება იმ ომისა, რომელიც მოხდა ორ ისტორიულათ შეკავშირებულ ერთა შორის. მთელი საუკუნოების განმავლობაში სომხები და ქართველები ერთ უღელში იყვნენ შებმული, ერთად იზიარებდენ ჭირსა და ლხინსა, ერთად ელოდენ განთიადს და აი ამ განთიადის გარიჟრაჟზე ახმაურდენ ის ზარბაზნები, რომელსაც ულმობელი ყუმბარით უნდა გაეგლიჯა მთელი საუკუნოებით ნაჭედი მეზობლური ჯაჭვი, სისხლით მოერწყა მშობლიური მთა და ველი და მის მორევში ჩაეხრჩო ჩვენი ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

ისტორია და მომავალი თაობა სასტიკათ დასჯის ამ უგნური ომის ინიციატორთ და მათ საპატიო ადგილს მიუჩენს ბიბლიური კაინის გვერდით.

მარა ეს მწუხარების მანდილი ვერ ფარავს იმ სიხარულს, რომელიც როგორც „სვეტი ცხოველი“ იმართება ხოლმე ჩვენს წინაშე ეკატერინოფელდის მოგონებაზე. უსამართლოთ ომში ჩათრეული დემოკრატია აქ გამარჯვებით ახალს ფურცელს იწყებს ჩვენს ისტორიაში. აქ გამარჯვებით მან იხსნა რესპუბლიკა აოხრებისაგან, თავისუფლება დაღუპვისაგან, ხალხი განადგურებისაგან. აქ ჩვენმა დემოკრატიამ ერთხელ კიდევ დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ყველა, ვინც ხმალს აიღებს მის წინააღმდეგ, ხმლით ვე დაიღუპება.

ომი მსხვერპლს ითხოვს და ამ ომშიც არა ერთი წმინდა მსხვერპლი გაიღო ჩვენმა დემოკრატიამ. ამ მსხვერპლის მოსაგონათ, მისი წლის თავის აღსანიშნავათ, გვარდიის მთავარი შტაბი დღეს სამოქალაქო პანაშვიდს იხდის. დღეს მუხლს მოიდრეკს წმიდა საფლავზე—ქვეყნის მესვეურნი და მთელი ერი მათ მოსაგონარათ ქუდს მოიხდის და ფიცს დასდებს, რომ ის დაიცავს ქვეყანას და თავისუფლებას და მით პირნათლათ შეასრულებს დაღუპულთა ანდერძს. მარა ეს ფიცი არ იქნება და არც უნდა იყოს ფიცი შურის ძიებისა. ეს არ იქნება საბაბი შოვინიზმის გაღვივება გაძლიერებისა. ეს იქნება ფიცი ძმობისა, სოლიდარობისა და ძმური კავშირისა, რადგან ის სცდილობს და კვლავაც შეეცდება აღადგინოს გაწყვეტილი კავშირი მეზობლებთან, რომ მათთან ერთად განაგრძოს გზა ეკლიანი დემოკრატიის გამარჯვებისა.

ჯერ კიდევ გრძელია გამარჯვების სავალი მანძილი; ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლებანია აღმართული ჩვენი დემოკრატიის სავალ გზაზე; ჯერ კიდევ მრავალი წმინდა მსხვერპლია საჭირო; მარა შორს აღარაა ის ბედნიერი დღე, როცა საბოლოვოთ „ამობრწყინდება მზე დიდებული და განათდება ქვეყანა ბნელი“. და ჩვენ გვჯერა, ამ სანეტარო დღეს ჩვენი და სომხის დემოკრატია ძმური კავშირით, მწარე მოგონებით და ნაზი სიყვარულით შეამკობს მსხვერპლთა საფლავს აქაც და იქაც და წყევლა-კრულვით მოიხსენიებს იმ აქტიორებს, რომლებმაც შეთხზეს და გამოიწვიეს ეს მუხანათური ომი.

ამის თავდებია ის გმირები და მათი თავგანწირვა, რომლის საფლავზე სხვებთან ერთად ჩვენც მიგვაქვს დღეს ჩვენი ცრემლები და ჩვენი მწუხარება...

განი.

იტალია და რუსეთი

გუშინდელ გაზეთში დაბეჭდილ ცნობის თანახმად იტალიის პარლამენტმა გადასწყვიტა ურთიერთობის აღდგენა მოსკოვის მთავრობასთან. ამ ნაირად დაირღვა ის ერთსულოვნება, რომელიც არსებობდა მოკავშირეებთა შორის რუსეთის საკითხის შესახებ. უნდა ითქვას, რომ იტალია არასდროს არ ყოფილა დიდი აქტიური მონაწილე რუსეთის სამოქალაქო ომის. ის უფრო ფორმალურად უჭერდა მხარს დენიკინ კოლჩაკის მთავრობას. უკანასკნელმა არჩევნებმა შექნა იტალიაში ახალი სულიერი განწყობილება. რუსეთის რეაქციონერებს იქ სამუდამოდ დაეკარგათ ნიადაგი და ყოველივე სიმპატია. ჩვენ ვიცოდით, რომ იტალიის არჩევნები ახალ მიმართულებას მისცემდა საერთაშორისო პოლიტიკას. ასეც მოხდა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ იტალიის ზომიერი პარტიებიც ალმაცერად უყურებდენ „დიდი, განუყოფელი“ რუსეთის აღდგენას. ის პატარა სლავიანთა ტომები, რომელნიც მის მეზობლად სახლობენ, დიდ იმედებს ამყარებდენ ისტორიულად რუსეთის მფარველობაზედ. ხოლო დიდი რუსეთის მოტრფიალენი, თავის მხრივ, დახმარებას პირდებოდენ ამ ტომებს იტალიის ხარჯით გაძლიერებისთვის. იტალიის ზომიერი მოღვაწეებიც რუსეთის რეაქციონერებს პანსლავიანისტებად თვლიდენ და ამ მხრივ მათში მოწინააღმდეგე ძალას ხედავდენ. ის, რასაც გრძნობდა იტალია, დღეს ოფიციალურად სთქვა. სჩანს, მან მოიპოვა თავისუფლება თავის საგარეო პოლიტიკის წარმოებაში და მოკავშირეების ძიძაობიდან განთავისუფლებულ იქნა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ იტალიის პარლამენტი ასეთივე დამოუკიდებლობას გამოიჩენს საქართველოს საკითხშიაც და ჩქარა იცნობს მას.

ბ. თეკლათელი.

„გუმეტის“ სალამი.

„გუმეტის“ პირველ ყრილობისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა ეკატერინოფელდიდან (ბორჩალოს მაზრა) საქართველოს სოციალ-დემ. მუშ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტს: „საქართველოში მომწყვდეული „გუმეტის“ პარტიის წევრთა პირველი ყრილობა [illegible] სალამს [illegible] ამხანაგებს. საქართველოს სოციალ-დემოკ. [illegible] საერთაშორისო პროლეტარიატის პარტიის საერთო ოჯახში, ჩვენ მასთან ერთად [illegible]

ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი საპასუხო დეპეშა გაუგზავნა: „ცენტრალური კომიტეტი მიესალმება თავის [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს

ინგლისის მთავრობის მიერ ლიტვინოვის წინადადების მიუღებლობის გამო მოლაპარაკება საბჭოთა რუსეთსა და ინგლისს შორის დროებით შეწყვეტილია.

გერმანიამ ყველა თავისი ჯარები უკვე გაიყვანა ბალტიის მხრიდან.

ინგლისის სამხედრო ნაწილებმა სირია დაცალა. დაინტერესებულ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებით გენერალ გუროს ჩაბარდა მართველობა როგორც კილიკიის, ისე საოკუპაციო ზონაში მდებარე ქალაქების — ბეირუთის, ტრიპოლის და ალექსანდრეტასი.

საფრანგეთს იმედი აქვს, რომ ის ინგლისისაგან სესხს მიიღებს.

რეიტერის გამოანგარიშებით ავსტრიაში სურსათ სანოვაგე მხოლოდ ოც იანვრამდე იკმარებს.

ბოლშევიკების ცნობით: ბაშკირეთში საბჭოთა რესპუბლიკა დაარსდა. საბჭოთა ჯარი კიევში შევიდა და ხარკოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით კუპიანსკი დაიკავა. იტალიის დეპუტატთა პალატამ 289 ხმით 124 წინააღმდეგ უარყო წინადადება საბჭოთა რუსეთის აღიარების შესახებ, მაგრამ სურვილი გამოთქვა შეეცადოს მთავრობა უმაღლესი საბჭოს წინაშე ბლოკადის მოსახსნელად და თავი შეიკავოს რუსეთის შინაურ საქმეებში ჩარევისაგან.

გვარდიის დღე

პროვინციაში.

ქუთაისი. საზოგადოებრივ, მუშათა ორგანიზაციების და სახ. გვარდიის შტაბის წარმომადგენლების მიერ არჩეულმა განსაკუთრებულმა კომისიამ წინასწარ მიიღო თადარიგი, რომ სახალხო გვარდიის დღე შესაფერისად ყოფილიყო მოწყობილი. გათენდა 12 დეკემბერი. ქალაქი მორთულია ხალიჩებით, ნაციონალურ და რევოლიუციონური დროშებით და მასთან ერთად ალაგ-ალაგ ცოცხალი ყვავილებით. ალლუმი გაიმართა თავისუფლების მოედანზე.

დილის 11 საათზე რიგრიგობით თავიანთ ადგილს იჭერს პროლეტარიატის შეიარაღებული ძალა—სახალხო გვარდია, შემდეგ რეგულიარული ჯარი, მუშათა ორგანიზაციები და სხვადასხვა სასწავლებლის მოსწავლე ახალგაზრდობა. დღის 12 საათზე ალლუმი მიიღო ქუთაისის ოლქის სახ. გვარდიის შტაბის თავმჯდომარემ ნიკ. ქუმბურიძემ ადგილობრივ გარნიზონის წარმომადგენელთან ერთად. ალლუმის გათავებისას ილაპარაკა გარნიზონის წარმომადგენელმა პოლკ. გეგელაშვილმა, რომელმაც მოკლეთ აუხსნა ჯარისკაცთ და გვარდიელებს დღევანდელი დღის მნიშვნელობა. შემდეგ ლაპარაკობს ქალაქის მოურავის მოადგილე ამხ. ს. რობაქიძე, რომელმაც ხაზ-გასმით აღნიშნა გვარდიის ღვაწლი რესპუბლიკის და თავისუფლების წინაშე. შემდეგ ლაპარაკობს მუშათა საბჭოს სახელით ამხ. ვ. სხირტლაძე, რომელმაც აღნიშნა ის არა ნორმალური დრო, როდესაც მუშათა საბჭო შეუდგა სახალხო გვარდიის ორგანიზაციის შექმნას და სხ. სოც. დემ. მუშათა პარტიის ქუთაისის კომიტეტის სახელით სიტყვა წარმოსთქვა დამფ. კრების წევრმა ამხ. ბ. თევზაიამ და ხაზ-გასმით აღნიშნა სახ. გვარდიის ღვაწლი ჩვენი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვ. სოც.-ფედერალისტების სახელით ილაპარაკა გ. ლაღიძემ ილაპარაკა ნაც. დემ. წარმომადგენელმა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ქუთ. მუშათა პროფ. კავ. ცენტრალური საბჭოს სახელით ამხ. გ. ტუსკიამ. ქუთაისის საოლქო სახ. გვარდიის შტაბის თავმჯდომარე ამხ. ნ. ქუმბურიძემ მგრძნობიარე სიტყვით მიმართა სახ. გვარდიელებს, ჯარისკაცებს,

შემდეგ პროცესია გაემართა გიმნაზიის, ვორონცოვის და მიხეილის ქუჩით და გავიდა წითელ ხიდზე, ორპირის ქუჩის კუთხეში სახ. გვარდია და პროცესიაში მონაწილენი გამოეთხოვენ ჯარს. რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამის შემდეგ დაბრუნდენ თავისუფლების მოედნისაკენ, სადაც დაიშალენ მუშათა ცენტრ. საბჭოს ბინასთან. 12 დეკემბერს, ღამით ქალაქი გაჩირაღდნებული იყო და ყველაფერს მხიარულების ელფერი ედო. ისვრიდენ შაშხალებს და სხვა. ქალაქის თეატრში გაიმართა წარმოდგენა წარმოდგენილ იქნა „ციხის საიდუმლო“. წარმოდგენის წინ სიტყვა წარმოსთქვა დამფ. კრების წევრმა ამხ. ბიქტორ თევზაიამ, ამავე საღამოს მუშათა კლუბ „ინტერნაციონალში“ წარმოდგენილ იქმნა „№ 21 ჯვრით“. წარმოდგენის წინ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. გ. ტუსკიამ. რკინის გზის მუშათა კლუბ „ხელოვნებაში“ გაიმართა მუსიკალური საღამო და სხვა. სიტყვა სთქვა ამხ. გ. ფაღავამ.

——

ჭიათურა. არაჩვეულებრივი მზადება 12 დეკემბრისათვის ერთი კვირით ადრე დაიწყო ჭიათურის დემოკრატიამ. გათენდა 12 დეკემბერიც. ქუჩებს სიცოცხლე დაეტყო. სავსეა ხალხით, რომელიც „ვაშას“ ს ძახილით და „გაუმარჯოს სახალხო გვარდიას“ ძახილით ხვდება სახალხო გვარდიას. დემონსტრაცია მიუახლოვდა დანიშნულ ადგილს, სადაც პარადი უნდა მიეღო შტაბის თავმჯდომარეს ს. სიხარულიძეს. პარადის შემდეგ დემონსტრაცია გაემართა ცენტრადისაკენ, რომელიც დროშებით და სხვადასხვა ყვავილებით იყო მორთული. მიტინგი გახსნა შტაბის თავმჯდომარემ ს. სიხარულიძემ. პირველი სიტყვა წარმოსთქვა შტაბის წევრმა გ. ანთელიძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო ხალხს სახალხო გვარდიის მნიშვნელობა. ამის შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. ორი საათი შესრულდა. მიტინგი დახურულად ცხადდება და სამშობლოს გმირები „ვაშა“-ს ძახილით და „ურა“-თი გაემგზავრენ სადგურისკენ, სადაც მათთვის დამზადებულ საგანგებო მატარებლით წავიდნენ საჩხერეში. საჩხერემაც გულმხურვალეთ მიიღო დემოკრატიის მხსნელები. აქაც მათ ქება დიდებას ასხამდენ. 4 საათზე საგანგებო მატარებელი საჩხერიდან ჭიათურაში ბრუნდება. მას ხალხი „ვაშა“ ს ძახილით ხვდება. საღ. 6 საათზე ჭიათურის სადგურის პირველი კლასის დარბაზი ხალხით ივსება. მომღერალთა გუნდი სხვადასხვა რევოლიუციონურ სიმღერებს მღერის. ხალხი ზეიმობს. საღ. 8 ს. ქალაქის თეატრში გაიმართა წარმოდგენა, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო

დარაჯი.

——

დიდი ჯიხაიში. 12 დეკ. აქ დილიდანვე მორთო, მოიკაზმა დაბა, ხალხი დილიდანვე შეუდგა სადღესასწაულო მზადებას. აუარებელ ხალხთა თანდასწრებით შუადღისას გაიმართა გვარდიელთა პარადი, შემდეგ მიტინგი, იყო მისალმებები. ილაპარაკეს ამხ. ნ. დევიძემ და ალ. ლეჟავამ, რომლებმაც ხაზი გაუსვეს გვარდიის მნიშვნელოვან მოღვაწეობას და მის არსებობის აუცილებლობას. შემდეგ ამისა პროცესია გაემართა სკოლის ბაღში. აქ ლექსები წაიკითხეს მოწაფეებმა და მიტინგი მთელი შემადგენლობით გაემართა მინდვრისაკენ, სადაც მომზადებული იყო სხვადასხვა გასართობები, რამაც გასტანა დაღამებამდე. მიტინგმა დაადგინა ამ დღის აღსანიშნავად დაირგოს „ცაცხვის“ ხე მიტინგის მონაწილეობით და უმთავრეს შტაბს გაეგზავნოს მისალმების დეპეშა. ხალხი ძლიერ ნასიამოვნები დაიშალა.

დ. ზემოხეთელი.

——

ზესტაფონი. 12 დეკემბერს საკრებულო დარბაზში შორაპნის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბმა გვარდიის დღის აღსანიშნავად გამართა სადღესასწაულო წარმოდგენა, წარმოდგენილი იქნა „ციმბირელი“ წარმოდგენის შემდეგ ადგილობრივ შემდგარმა მგალობელთა გუნდმა გ. ჯულელის ხელმძღვანელობით შეასრულა ეროვნული ჰიმნი და სხვა სიმღერები რამაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე.

გ. ხარგვეშელი.

საქართველო და საბჭოთა რუსეთი

კარახანის ნოტა.

4 დეკემბერს მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ მოსკოვიდან საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე კარახანისაგან შემდეგი რადიო დეპეშა მიიღო: 2 დეკემბერი. ჩვენი ცნობებით მთელ საქართველოში ასობით არიან დატუსაღებული კომუნისტები. საბჭოთა მთავრობის მიერ ამის საპასუხოთ შეპყრობილი არიან პეტროგრადში, მოსკოვში და სხვა ადგილებში ყველა ის პირნი, ვინც სთვლის თავის თავს საქართველოს მისიის წევრათ, ანდა კონსულათ. ჩვენ წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოთ კომუნისტები, შეგვატყობინოთ სია განთავისუფლებულ კომუნისტების და წარუდგინეთ ამხ. მ. ცხაკაიას დაგვიდასტუროს, შესრულებულ იქნა თუ არა ჩვენი წინადადება. მივიღებთ თუ არა რადიოს, რომ შესრულებული არის ჩვენი წინადადება, მისი ცხაკაიას დასტურით, რუსეთში ყველა შეპყრობილთ გავანთავისუფლებთ.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე კარახანი.

ნ. ჟორდანიას პასუხი.

ამ დეპეშის საპასუხოთ 9 დეკემბერს მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ლენინს (ასლი საქართველოს მისიას მოსკოვში) შემდეგი რადიო დეპეშა გაუგზავნა:

„მე მივიღე ცნობა რადიოთი საქართველოს რესპუბლიკის მისიის წევრებისა და კონსულების დაპატიმრების შესახებ საბჭოთა რუსეთში, რომელსაც ხელს აწერს სახალხო კომისარი საგარეო საქმეთა მოადგილე კარახანი. ასეთი ნაბიჯი კარახანის განცხადებით, პასუხია კომუნისტების დაპატიმრებაზე საქართველოში. საქართველოში კომუნისტების წინააღმდეგ არავითარ რეპრესიებს ადგილი არ ჰქონებია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი კომუნისტურ პარტიის წევრები არიან; ამის დამამტკიცებელია ის ფაქტები, რომ საქართველომ თავშესაფარი მისცა 5 ათასამდე კომუნისტს, რომლებიც თერგის ოლქიდან გამოიქცენ, ოლქის მოხალისეთა ჯარის მიერ დაკავების დროს; ამათგან ისინი, რომლებმაც ვერ მოახერხეს სამშობლოში წასვლა, ეხლა თავისუფლათ საქართველოში სცხოვრობენ; არ ვამბობთ იმაზე, რომ მთავრობა 8 თვის განმავლობაში მატერიალურ დახმარებას უწევდა კომუნისტებს, რომელიც რამდენიმე მილიონით განისაზღვრება. მთავრობის განკარგულებით დაპატიმრებულ იქნენ მხოლოდ ისინი, ვინც მონაწილეობას იღებდენ შეიარაღებულ გამოსვლებში და შეთქმულობებში საქართველოს დამოუკიდებლობისა და მისი მთავრობის მთელი დემოკრატიის ნდობით აღჭურვილის, წინააღმდეგ.

გამოსვლებს თან ახლდა მკვლელობა და ძარცვა გლეჯა. საბჭოთა მთავრობამ დააპატიმრა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენლები, რომლებსაც არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო სამტრო გამოსვლებში და ამით დაარღვია საერთაშორისო უფლების ელემენტარული უფლებები. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მოითხოვს საქართველოს მისიის მოხელეთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას წინააღმდეგი მოქცევა დაამტკიცებს მთელი ქვეყნის დემოკრატიის წინაშე, რომ საბჭოთა მთავრობა მტრულად ეკიდება ქართველ ხალხს და უარყოფს მის დამოუკიდებელ სახელმწიფოთ არსებობის უფლებას.

მთავრობის თავმჯდომარე **ჟორდანია.**

თფილისი, 9 დეკემბერი 1919 წ.

ევ. გეგეჭკორის ნოტა.

17 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა ევ. გეგეჭკორმა გაუგზავნა მოსკოვში საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ჩიჩერინს შემდეგი რადიო დეპეშა. საქართველოს რესპუბლიკის მისიის წევრების შეპყრობით, რომელიც გამოწვეულია საქართველოში კომუნისტების დატუსაღების საპასუხოთ, იმ კომუნისტების, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოსვლაში, საბ. მთავრობამ საერთაშორისო უფლება დაარღვია და დაუმტკიცა ქვეყანას, რომ ის მტრულად უყურებს საქართველოს ხალხის სურვილს—განამტკიცოს და ხელი შეუწყოს თავის დამოუკიდებლობას. ამის გამო საქართველოს რესპუბლიკა აუქმებს მთელ საბჭოთა რუსეთში ყველა მისიებს, საელჩოებს და იმ ორგანოებს, რომლებიც იცავდნენ საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებს. შეპყრობილნი საბჭოთა მთავრობის მიერ მისიის წევრები და კონსულები ამ მომენტიდან კერძო პირებათ ითვლებიან.

საგარეო საქმეთა მინისტრი **გეგეჭკორი.**

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

18 დეკემბერი.

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. დეკ. 17. „პრავდას“ აუწყებენ ბაშკირეთის საბჭოთა რესპუბლიკის დაარსების შესახებ. თავისუფალ უკრაინის ტერიტორიაზე გლეხთა უფლების განმტკიცებისათვის დაარსდა სრულიად უკრაინის რევოლიუციონური კომიტეტი, რომელმაც უკრაინის მშრომელ ხალხს მოწოდებით მიმართა, სადაც ნათქვამია, რომ დადგა საათი მუშათა და გლეხთა უკრაინის განთავისუფლებისა.

ტულა. დეკ. 16. ობოლენსკის რაიონში მაღაროების კომიტეტმა ნახშირის დამუშავების გადიდების მიზნით 6 საათის სამუშაოს დღის მაგიერ 8 საათის სამუშაო დღე შემოიღეს—ასეთივე დადგენილება გამოაქვთ სხვა რაიონების მუშებსაც.

მოსკოვი. დეკ. 17. სამხედრო ცნობები. კარელის რაიონში სროლაა. ნარვის რაიონში ჩვენმა ჯარმა 15 ვერსზე გაარღვია მტრის გამაგრებული პოზიციები ნარვიდან 5—10 ვერსის დაშორებით. მტრის დევნისას ჩვენმა ჯარებმა გადალახეს მდ. ნაროვა, რომლის დროსაც ხელთ ჩაგვივარდენ ტყვეები და სხვა ნადავლი. ფსკოვის რაიონში და დასავლეთ დვინაზე მზვერავები მოქმედებენ. 16 დეკემბერს, 18 საათ. და 30 წუთ. 12 საათის ბრძოლის შემდეგ ჩვენმა მარცხენა ნაწილის ჯარმა კიევი აიღო და ქალაქის დასავლეთით და სამხრეთ დასავლეთით შეტევას განაგრძობს. წამოგვიყვანიეთ ტყვეები. მარჯვენა ნაწილი მდ. ირპენზე და რკინის გზასთან იბრძვის. კრემენჩუგის მიმართ. ქალ. ლუბნის აღმოსავლეთით 20 ვერსზე სად. რომოდანი ავიღეთ. ხარკოვის რაიონში ჩუგუევთან ჩვენი ჯარი იბრძვის. კუპიანსკის რაიონში ბრძოლის შემდეგ მტერი სამხრეთისაკენ უკუ ვაგდეთ სად. ბელოკოლოდეცკიასა და კუპიანსკის შუა და კუპიანსკი ავიღეთ. სამხრეთ აღმოსავლეთით, ჩვენმა ცხენოსანმა რაზმმა ბრძოლით აიღო სადგური გონჩაროვკაია და ნოვოეკატერინოსლავს უტევს. ცარიცინის რაიონში დონსა და ვოლგას შუა მტერმა შემოგვიტია, მაგრამ უკუ ვაგდეთ.

პარიზი. 15 დეკ. რომიდან აუწყებიან, რომ დეპუტატთა პალატამ 289 ხმით 124 წინააღმდეგ უარყო საბჭოთა რუსეთის რესპუბლიკის აღიარების წინადადება. იმავე დროს ერთსულოვანად გამოსთქვა სურვილი, რომ მთავრობამ უმაღლესი საბჭოსაგან როგორმე მიაღწიოს საბჭოთა რუსეთში ბლოკადის შეწყვეტასა და რომ მთავრობამ რუსეთის საქმეებში ჩარევისაგან თავი შეიკავოს.

ლონდონი. 16 დეკ. თფილისიდან აუწყებიან, რომ სომხებმა დაამარცხეს აზერბეიჯანის ჯარი, რომელიც ყარაბახის ოლქის მიმართულებით იხევს. აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობის წარმომადგენლებმა თფილისში ხელშეკრულება დასდეს, რათა სამხედრო მოქმედება დაუყონებლივ შეჩერებულ იქნეს. ყველა სადავო საკითხებს გადასწყვეტს საგანგებო კონფერენცია, ან მოკავშირეთა უმაღლესი კომისარი.

ფრანგული პრესის ცნობები.

რომიდან მოსული ცნობით გენერალ კავილიამ გრაფ სფორცასა და მაიორ გილეტთან შეთანხმებით კვირას რეგულიარული ჯარების საშვალებით ფიუმე დაიჭირა. დ. ანუნციომ ეროვნულ საბჭოს სახელით მას უფლება გადასცა. გაზეთების თანახმად სამშაბათს პალატაში ნიტტის საყურადღებო განცხადება უნდა გაეკეთებია ფიუმეს საკითხის გადაწყვეტილებისა და იტალიის მთავრობისა და ქალაქის ადმინისტრაციის შორის მომხდარ შეთანხმების შესახებ.

კაიროდან იტყობინებიან: დაინტერესებულ სახელმწიფოთა გადაწყვეტილებით გენერალი გურო იქნება მმართველი როგორც კილიკიისა, აგრეთვე იმ ზონის, რომელიც ცნობილია მტრის დასავლეთ საოკუპაციო ტერიტორიის სახელით და რომელშიაც შედის ქალაქები ბეირუთ, ტრიპოლი და ალექსანდრეტა. ინგლისის ყველა სამხედრო ძალა სირიიდან გამოიწვიეს, რითაც ინგლისის სამხედრო მმართველობას სირიაში ბოლო მოეღო. შეცვლა უინციდენტოთ ჩატარდა.

კლემანსოს ავადმყოფობის გამო უმაღლესი საბჭო თავის სხდომებს კლემანსოს ბინაზე განაგრძობს. საბჭომ აქვე განიხილა გერმანიის პასუხი, რომლის ტონიც შემაერთებელი ხასიათისაა. საბჭომ საღამომდე გადასდო სხდომა ექსპერტებთან, რათა გერმანიის მიერ მოკავშირეთათვის სანავთსადგურო მასალის გადაცემის საკითხის გამოსარკვევათ. მოკავშირეთა პასუხი გერმანიის ნოტაზე კვირის ბოლოს იქნება გადაცემული.

რეიტერის აღწერით ავსტრიის ტრაგიკული მდგომარეობა იმით რთულდება რომ სურსათ სანოვაგე იქ იკმარებს მხოლოდ 20 იანვრამდე. 30.000 ტონი ხორბალი რომელიც ტრიესტში ინახება ავსტრიაში გადაიგზავნება. შეერთებული შტატები ავსტრიას სურსათის შესაძენათ, ალბათ კრედიტს გაუხსნიან.

თეოდორ ვოლფი „ბერლინერ ტაგებლატი“ არკვევს რა კაუცკის მიერ გამოცემულ საბუთებს, აღნიშნავს მათ შეუკავშირებლობასა და 1914 წ. გერმანიის ხელმძღვანელ პოლიტიკის უთაობას. ვოლფის აზრით თვითმპყრობელური ნერვოზობა და გავლენა, რომელსაც კაიზერის მინისტრები ახდენდა, შეუძლებლად ხდიდა საზრიან პოლიტიკის წარმოებას. ბეტმან ჰოლვეგის აზრის წინააღმდეგ, ვოლფი ამბობს, რომ გამოქვეყნებული საბუთები გერმანიის ხალხს დაუმტკიცებს, თუ როგორი საშიში უფსკრულია თვითმპყრობელობაში.

საერთაშორისო კონფერენცია გასათბობ მასალათა შესახებ ოთხშაბათს სავაჭრო სამინისტროს შენობაში შეუდგება თავის მუშაობას. 42 მთავრობა და ავტონომიური კოლონია 95 დელეგატთა წარმომადგენლებით.

კოპენჰაგენში ლიტვინოვსა და ო-გრედის შორის მოლაპარაკება დროებით შეწყვეტილია. ინგლისის მთავრობას მიუღებლად მიაჩნია ლიტვინოვის წინადადება. ლიტვინოვი ფიქრობდა ტყვეების უკან დაბრუნების საკითხის დასმის სახით, უკან დაებრუნებინა ყველა რუსი მოქალაქე.

საფრანგეთის ბირჟის კურსი. ლონდონი—39,52 ნიუ-იორკი—10,32, ბერლინი—21 სან.; რომი — 81; ჟენევა—189 სან.; ბუქარესტი—30 ერთი მეოთხედი.

ოფიციალურად იუწყებიან: საფრანგეთის ვალიუტის კურსის აწევის გამო ინგლისის მთავრობა საფრანგეთს სესხის მიცემას შეპირდა.

ფრანგული პრესის ცნობები

როსსახის მოხსენებით გერმანიის ყველა ჯარი გადმოყვანილია ბალტიის მხრიდან.

ვილჰელმსჰაფენის ახლოს მარსენსილში არტილერიის საწყობები აფეთქდა. ზარალი დიდია. ტელეგრაფი, ტელეფონი და რკინის გზას ლიანდაგი განადგურებულია. ზარალი ჯერ კიდევ არ გამოურკვევიათ. პირველი მოხსენებიდან სჩანს, რომ მოკლულია 20 და მძიმეთ დაჭრილია 60 კაცი.

გვარდიელები ეკატერინოფელდის ფრონტზე.

19 დეკემბერი

დღეს, 19 დეკემბერს, წლის თავზე ჩვენ გვინდა მოვიგონოთ დახოცილი და დაჭრილი ამხანაგები, რომლებმაც შეასრულეს ვალი რევოლიუციის და ხალხის წინაშე.

1 ლი სამთო ბატარეის არტილერისტებმა არ უღალატეს ფიცს—ან სიკვდილი, ან გამარჯვება.

შარშან დღევანდელ დღეს ჩვენ გერმანელებით დასახლებულ სოფ. ეკატერინოფელდში ვიდექით ერთი ასეული ცხენოსან გვარდიელებით. წინ ჩვენი ჯარის ქვეითა ნაწილები იყვნენ. მუხანათურათ, მოტყუებით გაფანტული ირგვლივ.

სომხური სოფლებიდან არაფერი მოისმოდა და არც ჩვენ გვჯეროდა მეზობლის ღალატი, მაგრამ რაც ითქვა, ყოველივე გამართლდა: 19 დეკემბრის დილით 6 ს. როცა ბატარეია ისვენებდა და ზარბაზნებზე დარაჯები და მორიგეები იყვნენ, მტერი თავს დაგვესხა ყოველი მხრიდან და აგვიტეხა სროლა. არტილერისტებმა მაშინვე გაიგეს რაშიაც იყო საქმე და იმ წამსვე თავის ზარბაზნებს მიაშურეს. ეს იყო უკანასკნელი სიტყვა და საქმეც. გავარდა პირველი ზარბაზანი, პირველს მოყვა სხვებიც და გაჩაღდა ბრძოლა. ერთი მხრიდან მრავალ რიცხოვანი მტერი, მეორე მხრით სახალხო გვარდიის 1-ლი და მეორე ბატარეის არტილერისტები. ერთი შეხედვით ასე გვეფიქრეთ: გვარდიელები დანარჩენი ნაწილებისა უკვე ჩავარდა ტყვეთ და ჯერი ჩვენზე მიდგა, მაგრამ ამხანაგმა გუჯაბიძემ, რომელიც ბატარეის ხელმძღვანელობას ასრულებდა, შესძახა გვარდიელებს, „ფეხი არავინ გადადგათ. სულ ერთია დავიხოცებით, სჯობს სახელოვნათ სიკვდილი, ვიდრე ლაჩრულათ მტრის ხელში ჩავარდნაო და პირველმა მიირბინა ზარბაზანთან, მას მიყვა აფიცერი მელენტი მუხაშავრია, შალვაძე და სხვები. ვიდრე უკანასკნელი ყუმბარა არ გაისროლეს, არ მიუტოვებიათ ზარბაზანი. ამ ბრძოლაში დაეცნენ ბრძოლის ველზე ამხანაგები: პლატონ და სტეფანე სარიშვილები, სილოვან გოგიჩაშვილი და დანიელ ვაჩეშვილი. დაიჭრენ მძიმეთ: პლატონ გუჯაბიძე, რომელიც შემდეგ თფილისის ლაზარეთში გარდაიცვალა, მელენტი მუხაშავრია, აკაკი სანაძე, ალექსანდრე გვარჯალაძე და ვარლამ თურქია. ორი უკანასკნელნიც შემდეგ გარდაიცვალა. მსუბუქათ დაიჭრა: მინა შალვაძე, პეტრე პატარაია, ოლიფანტე ნადარაია, ალექსანდრე ჯალალანია და გალაქტიონ გიორგაძე. სამი გვარდიელი — ალექსანდრე კობერიძე, აქსენტი პაპავა და რომან ვაშალომიძე, რომელნიც გაგზავნილნი იყვნენ შტაბში დახმარებისთვის, გზაში სომხებს ჩაუვარდათ ტყვეთ.

თვალ წინ ასეთი სურათი გადაგვეშალა: ხელმძღვანელები დაგვიხოცეს და დაგვიჭრეს, ერთი ყუმბარა აღარ გვქონდა, დაგრჩით ათიოდე კაცი, რომლებმაც გადავსწყვიტეთ გავქცეულიყავით მილიონისკენ, საიდგანაც ჩვენი გვარდიელები გაშლილი მწკრივათ მოდიოდენ ჩვენდა დასახმარებლათ, დაჭრილები და დახოცილები ზარბაზნებთან დარჩა, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროთ ვალიკო ჯუღელის, ალექსანდრე დგებუაძის და სანდრო მაისურაძის ხელმძღვანელობით ბატარეია ისევ ჩვენებმა დაიბრუნეს, მხოლოდ დახოცილ არტილერისტებს ახალი მსხვერპლი მოემატა—სანდრო მაისურაძე. დაჭრილები გაიძახოდენ: გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს სახალხო გვარდიას.

დღეს წლის თავზე სახალხო გვარდიის 1 ლ სამთო ბატარეის გვარდიელები იგონებენ თავიანთ დახოცილ ძვირფას ამხანაგებს და ფიცს სდებენ: რევოლიუციის, ხალხის და იმ დახოცილ ამხანაგების წინაშე, რომლის სისხლით შეღებილია პირველი სამთო ბატარეის დროშა, რომ მას არავის ჩააბარებენ და დაიცავენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, სანამ ერთი კაცი კი იქნება ბატარეიაში. დახოცილებს კი ვეტყვით: მშვიდობით ჩვენო, მეგობრებო. სანამ ცოცხლები იყავით ერთად ვიბრძოდით თავისუფლების დასაცავად, ეხლა კი თქვენ განისვენეთ, ჩვენ განვაგრძობთ ჩვენს გზას და არ ვუღალატებთ, დავიცავთ სამშობლოს და რევოლიუციას.

სახალხო გვარდიის პირველი სამთო ბატარეის მონდობილობით. **ხუგ.**

ნინო ჩხეიძის იუბილე

1894—1919.

მიმდინარე წლის ივნისის 1 ს 25 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც პირველად შესდგა ფეხი ქართულ სცენაზე ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა ნინო ჩხეიძემ.

ეს თარიღი უნდა ჩაითვალოს ქართული თეატრის ნამდვილ დღესასწაულის თარიღად.

ჩვენი თანამედროვე ხელოვნება და საერთოდ ჩვენი კულტურა ბევრს ვერ დათვლის ისეთი მნიშვნელობის დღესასწაულს, როგორისაც ნინო ჩხეიძის 25 წლის საიუბილეო დღესასწაულია.

ნინო ჩხეიძის მშვენიერ ნიჭთან და უმწიკვლო სახელთან დაკავშირებულია ჩვენი თეატრის 25 წლის მუშაობა, მისი ცხოვრების საუკეთესო წუთები, მისი გავლენა ხალხზე და მისი მნიშვნელობა.

ნინო ჩხეიძე არის მშვენიერი ემბლემა მრავალ-ჭირნახულის ჩვენის სასცენო ხელოვნებისა, განსახიერება მისი ტანჯვა წამებისა, მისი გატაცებისა და აღმაფრენისა, მისი უანგარო და თავდავიწყებულის მოღვაწეობისა.

ნინო ჩხეიძე არის სინდისი ჩვენი თეატრისა, სასიქადულო ნიმუში მაღალის ნიჭისა და ზნეობრივი სიძლიერის კეთილშეზავებისა.

დღიდან სცენაზე პირველად გამოსვლისა, ვიდრე დღევანდლამდე ნინო ჩხეიძე უცვლელად და გაუნელებლად ხიბლავდა საზოგადოებას თვისი ნიჭისა და მაღალის ბუნების მშვენიერის თვისებებით.

ფასდაუდებელია და აუწერელი იმ უტყუარ ესთეტიურ სიტკბოებისა და სიხარულის განცდანი, ნინო ჩხეიძის ხელოვნურ თამაშს რომ აუძრავს მაყურებელთა გულში.

მის მიერ შექმნილი მრავალი სასცენო სახე იმდენად სრული და წარმტაცია, რომ მადლიერი საზოგადოება ვერასოდეს დაივიწყებს თვისი ნიჭიერი მსახიობის მომხიბლაობას და მისი დიდი ღვაწლის მნიშვნელობას.

დასავლეთმა საქართველომ იდღესასწაულა კიდეც ნინო ჩხეიძის 25 წლის იუბილე და მცირე წვლილი მაინც მოიხადა იმ ვალისა, ქართველ ერს რომ დასდო სასიქადულო შვილის თავგანწირულმა მოღვაწეობამ.

ჯერი აღმოსავლეთ საქართველოსა და თფილისზე მიდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გვრწამს, რომ საქართველოს დედაქალაქი გულწრფელის ალტაცებით და ერთსულოვანობით შეხვდება ნიკო ჩხეიძის 25 წლის მოღვაწეობის იუბილეს და დღეს უკვე თავისუფალი ხალხი შესაფერ მადლობას მიუძღვნის იმ მოღვაწეს, რომელიც ჩაგვრისა და შევიწროების ჟამს თავისი ნიჭის ნაზი ფერადებით ჰქარგავდა და აშუქებდა სევდიანით მოცულ ერის ცხოვრებას.

საიუბილეო კომიტეტი.

საიუბილეო კომიტეტმა გადასწყვიტა გამოსცეს იუბილიარის პატივსაცემლად საიუბილეო კრებული. კრებულში მოთავსებული იქნება: ეფ. მესხის მოგონებანი, ივ. გომართელის წერილი, ი. გრიშაშვილის და აბაშელის ლექსები, მოკლე ბიოგრაფია და მრავალი სურათი.

— დღესასწაულისათვის გამოვა აგრეთვე განსაკუთრებული საიუბილეო ნომერი ჟურ. „თეატრი და ცხოვრებისა", რომელშიაც სხვათა შორის, მოთავსებული იქნება პიესა ხელოვანთა ცხოვრებიდან.

— საიუბილეო კომიტეტი სთხოვს ყველა იმ დაწესებულებათ, რომელთაც მიიღეს მოწოდებანი შესახებ იუბილეიში მონაწილეობისა, დაჩქარებით აცნობონ კომიტეტს, თუ რა რიგათ სურთ ხსენებული მონაწილეობის მიღება.

— იუბილიართან შეთანხმებით საიუბილეო კომიტეტმა გადასწყვიტა სადამოთი დასდგას „უბედური ნაბიჯი" და „ღალატის" უკანასკნელი მოქმედება. „უბედური ნაბიჯის" არჩევანი გამოწვეულია იმ მოსაზრებით, რომ პატივცემულმა იუბილიარმა ამ პიესაში თამაშით გაითქვა სახელი, როგორც დიდათ ნიჭიერმა დრამატიულმა მსახიობმა.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **სამოქალაქო პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე.** დღეს, 19 დეკემბერს, შესრულდა 1 წელიწადი ეკატერინენფელდთან სახელოვანი ბრძოლისა. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი ძმათა სასაფლაოზე (ნაძალადევში) გადიხდის სამოქალაქო პანაშვიდს ამ ბრძოლაში დაღუპულ გვარდიელების მოსახსენებლათ. დასაწყისი პანაშვიდისა შუადღის 2 საათზე.

◆ **მომარაგების სამინისტრო** აცხადებს კერძო პირთა და დაწესებულებათა საყურადღებოთ, რომ მომარაგების სამინისტრო საქონელს დაანაწილებს საზოგადოებრივი დაწესებულებების საშუალებით და საწყობებიდან საქონელი კერძო პირთ და დაწესებულებებზე არ მიეცემათ. ამიტომ მათ საქონლის მისაღებათ უნდა მიმართონ სათანადო ორგანიზაციებს, რომლის სიაც ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **სომეხ ლტოლვილთა დეპეშა.** მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო: შულავრის და მის მახლობელ რაიონების ლტოლვილნი, რომლებიც ამ ჟამად სტოვებენ საქართველოს, მთხოვენ მოგმართოთ ბატონო თავმჯდომარე მათი სახელით შემდეგი სიტყვებით: მიიღეთ და გადაეცით თქვენ ხალხს ჩვენი წრფელი მადლობა იმ მზრუნველობისათვის, რომელიც წილად გვხდა ჩვენ საქართველოში ყოფნის დროს. სამშობლო სომხეთი მოგვიხმობს ჩვენ, თავის შვილებს. ჩვენ წავიღებთ იმ წმინდა აღმაფრენას და აზრებს, რომელიც მოგვცა ჩვენ მშვენიერმა საქართ. ჩვენ გადავცემთ მომავალ თაობას მოგონებას ჩვენი დის საქართველოს შესახებ. მიიღეთ ჩვენი მხურვალე მადლობა. რწმუნებული მიკირტიჩ ტაირიანი.

◆ **ფრანგული ჟურნალი საქართველოზედ.** ტფილისის პრეს ბიურომ მიიღო პარიზიდან ფრანგული ჟურნალი „დამაშ". ჟურნალში მოთავსებულია: მეთაური საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, სურათები საქართველოს რესპ. მთავრობის თავმჯდომარის ნ. ნ. ჟორდანიასი და მინისტრების, აგრეთვე სურათები თამარ მეფის, ერეკლე მეორის, შ. რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვების. ჟურნალში მოთავსებულია საქართველოს არქეოლოგიური ნაშთების, ქალაქების და სოფლების სურათები. უკვე შესაფერადაა დასურათებული საქართველოს მეურნეობის ყოველი დარგი. ჟურნალის მიზანია საფრანგეთის საზოგადოებას გააცნოს საქართველო.

◆ **სახელმწიფო თეატრში.** დღეს, ალიშკის, ზალიპსკის და ინაშვილის მონაწილეობით „ტოსკა". შაბათს, 20 დეკემბერს, ოპერა მუშებისათვის „ტრავიატა".

◆ **სამეც. და საპ. ჟურნალ „განათლების"** სარედაქციო კოლეგია აცხადებს ხელისმომწერთა საყურადღებოდ, რომ ჟურნალის შემდეგი ნომერი (№ 2) გამოვა დეკემბრის ბოლოს და ეღირება ცალი 25 მანეთი. ხელის მომწერლები, რომელთაც გადახდილი აქვთ 20 მანეთი, მორიგ ნომერს მიიღებენ იმ შემთხვევაში, უკეთუ დეკემბრის 30 დღემდე შემოიტანენ დამატებითი 15 მანეთს. ახალი ხელის მომწერნი კი, რომელთაც სურთ უკვე გამოსული (წინანდელი №) ნომრებიც მიიღონ, წარმოადგენენ 35 მანეთს ფული უნდა გამოიგზავნოს ვარლამ ბურჯანაძის სახელზე ტ. ქ. გ. საზოგადოება. (დამფუძ. კრების ქუჩა № 5).

◆ **დაიკარგა პირადობის მოწმობა** მოცემული შორაპნის საოლქო სახალხო გვარდიის შტაბისაგან ამავე შტაბის წევრმა სილიბისტრო იორდანისძე კობახიძემ (№ 1460 ნოემბრიდან ა. წ.) გთხოვთ ჩათვალოთ გაუქმებულათ.

კრებები

დღეს, სად. 6 ს. ვერის მუშათა კლუბის დარბაზში (ოლღას ქ. № 29) დანიშნულია ვერაზე არსებულ გამრთობ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება.

— შაბათს, 20 დეკემბერს, ერობის გამგეობის ბინაზე (რუსთაველის პრ. სახ. № 6) საღამოს 5 საათ. შესდგება ერობის მოსამსახურეთა კავშირის წევრთა ყრილობა.

სახალხო გვარდისთვის

ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრები ქართველები გზების დაკეტვის გამო მოკლებულნი იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ ერთი წლის წინათ თავის ქვეყნის დაცვაში. სახალხო გვარდიამ და შეიარაღებულმა მთელმა ქართველმა ხალხმა ეს მოვალეობა გულის სიმტკიცით და რწმენით აღასრულეს.

დღეს მოკლებულ სახალხო გვარდიელების სახელის პატივსაცემათ, ნება მიბოძეთ გადმოგცეთ ასი თუმანი (1000 მან.) მთავარ შტაბის განკარგულებაში გადასაცემათ ობლების და დასახიჩრებულ გვარდიელების სასარგებლოთ აღმოსავლეთ ქვეყნებში მცხოვრებ ქართველების სახელით.

მართალია, ეს შემოწირულება მცირეა, მაგრამ სამწუხაროთ ჩემს განკარგულებაში არ არის დიდი თანხა, რომ მეტი გავიღო ჩვენი გმირი გვარდიისათვის.

ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში მცხოვრებ ქართველთა წარმომადგენელი, დელეგატი საქართველოს მთავრობის წინაშე, **დათიკო ივ. როსტომაშვილი.**

მომარაგების სამინისტროსაგან

მომარაგების სამინისტრო აცხადებს ყველას საყურადღებოთ, რომ ყველა მათ, ვისაც კი აქვს მიცემული ნებართვა გაიტანოს რესპუბლიკის საზღვრებიდან: თამბაქო, მატყლი, მარგანეცი, ხე-ტყე, ვალდებული არიან არა უგვიანეს 25 დეკემბრისა წარადგინონ ზემოხსენებული ნებართვები მომარაგების სამინისტროს საკონტროლო განყოფილებაში (რუსთაველის პროსპექტი), ან სოხუმში აფხაზეთის კომისარიატში. ან და ბათუმში საქართველოს კონსულთან რეგისტრაციისათვის.

ნებართვები უნდა წარმოადგინონ შემდეგი წესით; ვისაც აქვს მიცემული ნებართვა და სცხოვრობს ტფილისის გარედ და სურს წარუდგინოს რა აღნიშნული ნებართვა ბათუმში საქართველოს კონსულს ანდა აფხაზეთის კომისარიატს, ვალდებულია ნებართვის წარდგენამდე დეპეშით აცნობონ ტფილისში მომარაგების სამინისტროს რა ნომერია არის და როდის არის მიღებული ნებართვა, ვის უწერია ხელი ნებართვაზე, რა საგნის შესახებ არის მიცემული ნებართვა, რაოდენობა გასატან საქონლის და ვის სახელზეა ნებართვა. ურეგისტრაციო ნებართვები ჩაითვლება გაუქმებულათ და საქონელს ნებართვით არ გაუშვებენ საბაჟოები.

მომარაგების მინისტრი **გ. ერაძე.**

უცხოეთი

სომხეთ ადერბეიჯანის კონფერენცია.

14 დეკემბერს ბაქოში გაიხსნა სომხეთ-ადერბეიჯანის კონფერენცია. კონფერენციის გახსნას დაესწრენ: სომხეთის დელეგაციის წევრები თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, არუტიუნიანცი და ბეგზადიანი; ადერბეიჯანის დელეგაცია—ფატალი ხან ხოილი, ვეკილოვი; საქართველოს წარმომადგენელი ალშიბაია, ქართული ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე კვიტაიშვილი, ადერბეიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯაფაროვი და სხვ. კონფერენცია გახსნა ჯაფაროვმა, რომელიც მიესალმა მას მთავრობის სახელით და აღნიშნა, რომ მთელ რიგ სადაო საკითხთა შორის პირველი ალაგი ტერიტორიალურ კითხვას უჭირავს; იგი იმედს გამოსთქვამს, რომ ეს კითხვა იმ სახით იქნება გადაჭრილი, როგორც ამას მოითხოვს კეთილ მეზობლური განწყობილება. თავმჯდომარის ალაგს ფ. ხან ხოილი იკავებს. თავის სიტყვაში იგი დამსწრეთა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ ისტორიულმა აუცილებლობამ უკვე დაარწმუნა კავკასიის სახელმწიფოები ერთმანეთთან მეგობრულ განწყობილების დამყარების საჭიროებაში. ხან ხოილის საპასუხოთ ლაპარაკობს სომეხთა დელეგაციის თავმჯდომარე არუტიუნიანი, რომელიც აღნიშნავს, რომ სომხეთსა და ადერბეიჯანს ურთმანეთოთ არსებობა არ შეუძლიათ; კულტურული აყვავება და დამოუკიდებლობა—აი რა მიზნები ასულდგმულებს მისი სიტყვით სომხეთის ხალხს და ასეთივე მიზნები—აქვს დასახული ადერბეიჯანსაც. ორატორი დაიმედებულია, რომ კონფერენცია სასურველ შედეგებს მიაღწევს. შემდეგ გამოქვეყნებულ იქნა მისალმების დეპეშები: კავკასიის უმაღლეს კომისარ ჰასკელისაგან, რომელიც სთხოვს კონფერენციას საჭიროების დროს მიმართონ მის დახმარებას; საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სთხოვს კონფერენციას მიიღოს ყოველგვარი მეგობრულ კავშირის განსამტკიცებლათ და მოაგონებს ადერბეიჯან საქართველოს შორის მიმდინარე წლის 16 ივლისს დადებულ ხელშეკრულებას და შეთანხმებას სომხეთთან, რითაც პირველი აგური დაიდო ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობის საფუძველს. დაშნაკციუტუნის დეპეშა აღნიშნავს, რომ პარტია მოუთმენლათ ელის მუშაობის სასურველათ დაბოლოვებას. შემდეგ ხან ხოილი მოკლეთ აცნობს დამსწრეთ კონფერენციის მოწვევის ისტორიას, რის შემდეგ სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა 17 დეკემბრისათვის დაინიშნა.

ადერბეიჯანი.

მოლაპარაკება სპარსეთთან. სპარსეთ ადერბეიჯანის კონფერენცია გაიხსნა 15 დეკემბერს. კონფერენციაზე გამოთქმულ იქნა ღრმა რწმენა, რომ ამიერიდან ეკონომიური და მეგობრულ პოლიტიკური დამოკიდებულება სპარსეთსა და ადერბეიჯანს შორის უფრო გამტკიცდება. არჩეულ იქნა სამი კომისია! სავაჭრო—სადამოჟნო - სატრანსპორტო, ფოსტა ტელეგრაფისა და პოლიტიკურ-იურიდიული. პირველ ორ კომისიას უკვე ჰქონდა საინფორმაციო ხასიათის რამოდენიმე სხდომა. ეხლა ორივე მხარე იმუშავებს ხელშეკრულობის პროექტს, რომელიც წინასწარი განხილვის შემდეგ წარედგინება კონფერენციას.

რუსეთი.

ახალი მობილიზაცია „დობროვოლია"-ში. გენ. დენიკინის ბრძანების თანახმად ყუბანის ოლქში გამოცხადდა ახალი მობილიზაცია. გაწვეული იქნებიან 1882, 1883 და 1884 წლებში დაბადებულნი და აგრეთვე ისინი 1880 და 1881 წლ. დაბადებულთაგან, რომლებიც თავის დროზე არ გამოცხადდენ ჯარში. ახალ გაწვეულებით მოხალისეთა სარდლობა შეავსებს ჩრდილო-კავკასიის არმიას.

უნდა დაიფაროს. გაზეთ „იუჟნი კრაი"-ს თანამშრომელი ეწვია გენ. მაი მაევსკის, რომლისთვისაც უნდოდა ინტერვიუ გაეკეთებინა და მიეღო მისგან ცნობები მოხალისეთა ფრონტის მდგომარეობის შესახებ. მაგრამ გენერალმა უარი განაცხადა ცნობების მიცემაზე შემდეგის მოსაზრებით: „სამწუხაროთ, მე უარი უნდა გითხრათ ინტერვიუზე ამ საკითხის შესახებ. როგორც ჯარის სარდალს, მე არ შემიძლია მხოლოთ საერთო ხაზებით აგიწეროთ ფრონტის მდგომარეობა: ეს არ შეეფერებოდა ჩემს მდგომარეობას და ამასთანავე საზოგადოებისთვისაც არ იქნებოდა საინტერესო. მე დამშვიდებით ვუყურებ ფრონტის მდგომარეობას; ის, რასაც მე გიფარავთ, იმედს მაძლევს ჩავთვალო ფრონტის მდგომარეობა არ არის ჩვენთვის საშიშროო.

ინგლისი.

მოლაპარაკება რკინის გზელებსა და მთავრობას შორის. ინგლისის რკინის გზელები მოითხოვდენ, რათა ისინი დაშვებულნი ყოფილიყვნენ თავიანთ წარმომადგენლების სახით რკინის გზის ადმინისტრატიულ ორგანოებში. ამ საკითხის შესახებ მთავრობასა და რკინის გზელებს შორის მოლაპარაკება სწარმოებს. გაზ. „მანჩ. გარდ."-ს ცნობები მოყავს, რომლის თანახმათაც მთავრობას რკინის გზელებისთვის შემდეგი საბოლოო წინადადება მიუცია: ადმინისტრატიულ ორგანოში დაშვებულ იქნებიან რკინის გზელების 2 წარმომადგენელი—ერთი მემანქანეებისაგან და ერთი დანარჩენებისაგან. მთავრობის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებენ ლლოიდ ჯორჯი, ფინანსთა მინისტრი ერიკ გედდეს და შრომის მინისტრი ხორნი.

საგარეო პოლიტიკა. 17 ნოემბერს თემთა პალატაში ირჩეოდა ინგლისის საგარეო პოლიტიკა. მსჯელობის დროს ლორდ რობერტ სესილმა განაცხადა, რომ ამერიკის სენატის მიერ მიღებული შესწორებები თითქმის უარყოფენ საზავო ხელშეკრულებასო; მისი სიტყვით ხალხთა ლიგა უნდა მოეწყოს მიუხედავათ იმისა, მიიღებს მასში შეერთებული შტატები მონაწილეობას, თუ არა. რუსეთის საკითხის შესახებ სესილმა იმედი გამოსთქვა, რომ დენიკინი და კოლჩაკი „უარს იტყვიან" მოსკოვისაკენ გალაშქრებაზე და განამტკიცებენ სახელმწიფოებრიობას დაკავებულ ალაგებში.

რა აზრებს ჰბადებს ლა მანშის გვირაბი. ინგლისის პრემიერი ლლოიდ ჯორჯი თავის დროზე ენერგიული მომხრე იყო ლა მანშის გვირაბის გათხრისა. დღეს იგი უკვე არ არის მომხრე ამ საქმისა და აცხადებს, რომ ამ გვირაბს დიდი მნიშვნელობა მხოლოდ ომის დროს ექნებოდა. თავის ოფიციალურ მოხსენების ბოლოში ლ. ჯორჯი ასე მსჯელობს: „ჩვენი ძალა უმთავრეს ნაწილათ იმაზე ემყარება, რომ ჩვენი ქვეყანა უფრო უზრუნველყოფილია, ვინემ სხვა; და ჩვენს მეზობლებს შეშურდათ ის 26 მილი წყალის სივრცე, რაც ჩვენ მათგან გვაშორებს. მე მრწამს ხალხთა ლიგა, მაგრამ მან საქმე უნდა გააკეთოს, რომ სავსებით ვირწმუნო იგი. საერთაშორისო მდგომარეობა ამ ჟამათ არც ისე კარგა. ამისთვის ჩვენ სიფრთხილით უნდა ვიმუშაოთ და არ დავივიწყოთ, რომ ბრიტანეთი კუნძულია; მე არ მინდა, რომ იგი არ იქნეს კუნძული და სანამ გადაწყვეტილებას მივიღებდეთ, მე უნდა დავრწმუნდე, რომ ბრიტანეთს არ წაერთმევა მისი განგებით მინიჭებული უპირატესობანი".

სომხეთი.

მოხალისეთა პოლკოვნიკის ჩასვლა. „კუბან. სლოვოს" გადმოცემით ერევანში ჩასულა მოხალისეთა ჯარის წარმომადგენელი პოლკოვნ. ზინკევიჩი, რომელიც დიდის ამბით მიუღიათ. ზინკევიჩის პატივსაცემათ მოწყობილ იქნა სომხეთის ჯარის ბალუში, რომელსაც სამხედრო მინისტრი არარატიანი ხელმძღვანელობდა. მისალმების სიტყვაში ხატისოვმა აღნიშნა, რომ სომხეთის ხალხს მუდამ კეთილი გრძნობები ჰქონდა და ექნება რუსეთისა და მის წარმომადგენლების მიმართ. საპასუხო სიტყვაში პოლკ. ზინკევიჩმა აღნიშნა, რომ მისი ჩამოსვლის მიზანია შეძლებისდაგვარათ დახმარება გაუწიოს სომხეთის მთავრობას.

ცხოვრების გერნი

„ვისაც გული არა სტკივა,
თვალთა ცრემლი არა სცვივა".

1.

სიღარიბისგან,
სიღატაკისგან,
წელში მოხრილი,
მხრებ ჩამოყრილი,—
დავეთრეოდი
გულ გრილ ქალაქში,
გულ გატეხილი,
ღონე მიხდილი.

იყო სიცივე.
დღე ნისლიანი,
დღე ქინქლიანი
სულს მიმძიმებდა;
და შემოდგომა
ფრთა წინწკლიანი
სახეზე მცემდა,
მიშხაპუნებდა.

დიდხანს და დიდხანს
ვიარე ასე,
დასუსტებული,
დაოსებული;
სიმდიდრით იყო
ქალაქი სავსე,
მე კი სიმშილით
მხდებოდა სული.

განა მარტო მე?—
აქ, ამ ქალაქში
სხვა ლატაკებიც
იმყოფებოდნენ;
ზოგნი სტიროდნენ,
ზოგნი ყვიროდნენ,
ზოგნიც მუქარით
ილანძღებოდნენ.

2.

ქალაქის გარეთ,
მინდორ ხევებში,
სადაც მცხოვრებნი
ნაგავსა ჰყრიდნენ,
სადაც ყორნები,
შავი ყორნები,
მძოვრზე და ლეშზე
ნადიმს იხდიდნენ,—
ვნახე ცხოვრების
ნაძირალები,
გადაყრილ საჭმელს
რომ დაჰსეოდნენ,
და ძაღლებივით
დალესილები
ბინძურ ლუკმისთვის
იღრინებოდნენ.

იღრინებოდნენ,
იგინებოდნენ,
მშიერ მგლებივით
იფლითებოდნენ;
გამოძღებოდნენ,
შერიგდებოდნენ
და ძმურად იქვე
მიეყრებოდნენ.

3.

ღამეა. ბნელა. დიდი ქალაქი,
ჭრელ ელექტრონით განათებული,
ბობოქრობს, ღელავს, როგორც შავი
ზღვა
ქარიშხალისგან აზვავებული.

ხალხი ხმაურობს, ბურზურობს,
ხალხი ფუსფუსებს, ხალხი ირევა;
ისმის კისკისი ბედნიერების
და უბედურთა კრულვა და წყევა.

გულ-დახურული, ფიქრ-დახურული,
ზიზღით განვშორდი ბედ კმაყოფილებს;
სიმშილ სიცივით აღრინებული,
ვაკრაჭუნებდი სიბრაზით კბილებს.

4.

გავყევი ქუჩებს, ჩემს ვიწრო ქუჩებს,
ახლოს მომესმა ხმა მუსიკისა;
თითქოს ნაცნობი იყო ის ხმები,
თითქოს ჩემს ბედზე მოსთქვამდა ისა.

გამოუთქმელი ღრმა მწუხარებით,
ყრუ მდუმარებით ჩავღუნე თავი;
და წარმომიდგა თვალწინ სურათი,
ფიქრთა ამშლელი, გულის საკლავი.

დაბლა, სულ დაბლა, მიწურ ოთახში,
იდგა ფიცრული ძველი საწოლი;
ზედ ჭლექიანი იწვა ვიღაცა,
ყვითელი, როგორც მკვნარი ფოთოლი.

სნეულ ამხანაგს თავს ევლებოდნენ
მოხეტიალე მემუსიკენი;
ერთად შეზრდილნი, შეთვისებულნი,
თანამავალნი, თანამოძმენი.

თავს ევლებოდნენ, არ შორდებოდნენ,
მეგობრის ტანჯვით იტანჯებოდნენ,
მაგრამ ითმენდნენ, ცრემლს იგუბებდნენ,
სიმთა საკრავებს ახმატკბილებდნენ
და სასიცოცხლო ცეცხლით მუსიკით
მომაკვდავს სიკვდილს უადვილებდნენ.

. . .

ის გარდიცვალა... მუსიკის ფრთები
მემუსიკის სულს ცად მიაფრენდნენ,
ხოლო მის ცხედარს ამხანაგები
დაჰქვითინებდნენ, ცრემლებს აფრქვევ-
დნენ.

გ. ქუჩიშვილი.

96

სენაკის სამაზრო ერობის ხმოს. მესამე ყრილობა *)

სანიტარო საექიმო განყოფილება. (მომხსენებელი განყოფილების გამგე ბ. პ. ქვთარაძე) სენაკის მაზრა ციებცხელებიანი ადგილია. აქ საშინლად არის გავრცელებული ჭაობური მალარია, ხალხი სიღარიბისა და უვიცობის გამო ნაკლებად უვლის თავს. მას რაც მოეპოვება: რძე, ყველი, კვერცხი, ქათამი და სხვა, ჰყიდის, თვით კი იკვებება ხმელა მჭადით და პილპილიანი ლობიოთი. თუ ხალხი არ შევაჩვიეთ თავის მოვლას, თუ მასში არ შევიტანეთ შეგნება, მას მოელის გადაგვარება და გადაშენებაც კი. ამიტომ ჩვენ ჩვენს მცირე ხნის არსებობაში რაც შეგვეძლო და რაც მოვასწარით ის კიდეც გავაკეთეთ, სამერმისოთ კი ვეცდებით თქვენის დასტურით, დახმარებით მაზრაში შემოვიღოთ სრულიად უფასო ექიმობა. ჯერ-ჯერობით ჩვენ გვაქვს მოწყობილი ერთი სამაზრო საავათმყოფო, სადაც გვყავს 4 ექიმი, ბევრი ვეძიეთ მაგრამ ამ საავათმყოფოსთვის დღემდე ვერ ვიშოვეთ ექიმი დოსტაქარი (ქირურგი). 4 ადგილას გვაქვს მოწყობილი საავათმყოფო 15—20 საწოლით. გვაქვს 4 სამკ. ამბულატორია და 7 ადგილას საფერშლო პუნქტი. ყველგან ექიმებიც და ფერშლებიც გასინჯვა რჩევა დარიგებაში ავათმყოფიდან საზღაურს არ იღებენ, წამლის ფასს კი ვახდევინებთ, რადგან ჯერ სრულიად უფასო ექიმობა, მიუხედავათ ჩვენი გულითადი სურვილი-მისწრაფებისა, ვერ შევძელით. ჩვენი ანგარიშით (მოყავს ციფრები) რაც შევძელით ამითაც ხალხს, მაშინაც კი ექიმისათვის რომ ეძლია მხოლოდ ოცი მანეთი, ჩვენ გადავარჩინეთ მილიონზე მეტი. - თუ რა უნდა გავაკეთოთ შემდეგში, ამას მოგახსენებთ მაშინ, როცა განვიხილავთ სანიტარო გადასახადის საკითხს. (წარსულში მოღვაწეობა ყრილობამ მომხსენებელს მოუწონა და დაუდასტურა).

ტექნიკური განყოფილების გამგე ბ. გრ. ცქვაშვილი. ჩვენი მთავარი ყურადღება გზების გაკეთებას მივაქციეთ. გავაკეთეთ ცენტრისაგან ოთხი საუკუნო ხიდი, რომლებიც დღეს მილიონზე [illegible] წარმოვებთ ავტომობილებით და დილიჟანსით [illegible] სამედო კაცები ვერ ვიშოვნეთ ამ საქმემ ზარალი გვიჩვენა. მოვაწყვეთ საკუთარი სახელოსნო, სადაც არის სამი განყოფილება: სადურგლო, საზეინკლო-სამჭედლო და თუჯის სადნობი. სადურგლოში ვამზადებთ სკოლებისათვის პარტებს და ის პარტა, რომელიც სხვაგან ღირს 200 მანეთზე მეტი, ჩვენ ვამზადებთ ბევრათ ნაკლებ ფასებში. საზეინკლო სამჭედლოში ვაწარმოებთ სამეურნეო იარაღ მანქანების შეკეთებას და ახლის გაკეთებას. მაგრამ საუბედუროთ ამ ბოლო დღეებში საქმე შეგვიფერხდა, რადგან ოსტატების (ინჟინერ-მეხანიკის) აქ არ ყოფნის დროს აგვიფეთქდა მოტორი, ჩვენ ვეძებთ დამნაშავეს და მას პასუხისგებაში მივცემთ, ქარხანას კი ადრე ისევ ავამოძრავებთ. შემდეგში ჩვენ ვეცდებით გამოვიყენოთ ბუნებრივი სიმდიდრე—თეთრი ნახშირი, მოვაწყოთ საკუთარი ხე-ტყის სახერხი მანქანა და თუ შევძელით გავმართავთ სახვევ ქაღალდის დასამზადებელ ქარხანასაც. (ყრილობა მოხსენებით საერთოთ დაკმაყოფილდა, მხოლოდ გამოსთქვა სურვილი, რომ ზოგიერთ დეფექტებს, რომელსაც წინათ ჰქონდა ადგილი, შემდეგში აღარ დაუშვებს).

აგრონომიული დახმარება. (ყრილობის მეორე დღე—მომხსენებელი აგრ. ვლ. ხოფერია).

ხარჯთ აღრიცხვა შესდგა მაშინდელი ფულის კურსის მიხედვით, ჩვენ მაშინ ვერ ვიშოვნეთ ჩვენთვის საჭირო აგრონომები და ინსტრუქტორები... გამგეობასთან შეთანხმებით, მიუხედავათ ყრილობის დასტურისა, ჯამაგირები გავადიდეთ, მოვახდინეთ გაზეთით პუბლიკაცია, მაგრამ სამწუხაროთ აგრონომთა საკმაო რიცხვი მაინც არ გვყავს, ვერ ვიშოვნეთ მაზრის აგრონომიც კი. ამის მიზეზით ჯერ-ჯერობით სათანადოთ ვერ მოვაწყვეთ აგრონომიული დახმარების პუნქტები. გული მაინც არ გავიტეხია და რაც შევძელით ის მაინც გავაკეთეთ: რესპუბლიკის ცხენების საჯიშო თავლიდან სანათხოვროთ წამოვიყვანეთ ოთხი სხვადასხვა ჯიშის ვაყა, რომლებიც ჩვენის აზრით ადგილობრივ ფაშატებთან დართვით მოგვცემდა ადგილობრივ გამოსადეგ შედეგს. ვეცადეთ ბუღების შეძენაც, მაგრამ რუსეთთან მოწყვეტის გამო ეს ვერ შევძელით. მაგრამ სამაგიეროთ ერთი ბუღა მაინც შევიძინეთ ადგილობრივ. შევიძინეთ სხვადასხვა სამეურნეო იარაღ მანქანები, ზოგი გასაქირავებლად და ზოგი გასასყიდათ. შევიძინეთ საზამთროთ პურის თესლი, გავატარეთ ტრიერში (სარკევი მანქანა) და 1000 ფუთზე მეტი გავავრცელეთ ხალხში, გვარფიელთა დახმარებით კი რამოდენიმე ქცევა თვით ერობამ დათესა საცდელათ. დიდი ყურადღება მივაქციეთ სიმინდის ჰეპელის საწინააღმდეგო ზომებს, მოვწამლეთ რამოდენიმე ას ფუთობით და მოწამვლა (ჰეპელი რომ გაუჩნდეს) ვასწავლეთ ხალხს.

გვყავს მოსიარულე ინსტრუქტორი, რომელიც დადის სოფელ-სოფელ, უჩვენებს ხალხს ბუნდოვან სურათებს სამეურნეო შინაარსისას და ამავე დროს ესაუბრება მეურნეობის საჭიროებაზე. შევიძინეთ 35 ძირი ცოცხალი სკა დადან—ბლოტის სკებში თავის მოწყობილობით, დავიჭირეთ მეფუტკრეობის ინსტრუქტორი, მოვაწყვეთ სამეურნეო სკოლებთან სკების საკეთილი სახელოსნო და ამ ზამთარში ვაპირებთ მსურველებს თვით შევასწავლოთ სკების კეთება.

დიდიხნის ძებნის შემდეგ, როგორც იქნა ვიშოვეთ აგრონომ მასწავლებელი და გავხსენით დაბალი ტიპის სამეურნეო სკოლა ძველ სენაკსა და [illegible] კოხში. მთავარი ყურადღება მივაქციეთ სამეურნეო იარაღების გავრცელებას. დღეს თვით ერობის სახელოსნოში ვაკეთებთ ხვნა-თესვაში გამოსადეგ იარაღს და ის ფარცხი, რომელიც ტფილისში ღირს 2 ათასზე მეტი, ჩვენ სახელოსნოში ნარდათ მუშაობის შემოღების შემდეგ გვიჯდება მხოლოდ 100 მან. ვიკვეთ თადარიგს, რომ ადგილობრივ გავაკეთოთ თოხები და სახნისები. შემდეგ შევეცდებით აგრონომიული დახმარება რაც შეიძლება ფართოთ დავაყენოთ, თუ ამისთვის საკმაო თანხას გადადებთ და თუ ვიშოვნით სპეციალისტებს. (ყრილობამ ეს მოხსენებაც მოიწონა და დასტური დასცა).

ჩე—კოჩი.

(შემდეგი იქნება).

მთავრობაში

9 დეკემბრის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— ლანჩხუთის ქალაქის წარმომადგენლის შუამდგომლობა მდინარე რიონის ნაპირების გამაგრებაში დახმარების აღმოჩენის შესახებ მასალებითურთ გადაეცეს მიწათ მოქმედების მინისტრს

---

*) პირველ წერილში (იხ. „ერთობა" № 287) ჩვენ გამოგვეპარა ერთი საყურადღებო ცნობა: ცენტრში, მაგ. ნოსირში მოსწავლე ქალთა რიცხვი 48 პროცენტია, მთა ადგილებში კი 20 პროც. სასკოლო ასაკის ბავშვებში ნოსაკოვში 100 პროცენტი სკოლაშია, ზოგან კი 80. მთებში კი ნაკლები. იმავე ნომერში არის შეპარული კორექტურული შეცდომა. ნათქვამია, თითქოს მთავრობა 13 უმაღლეს პირ. დაწ. სასწავლებლებიდან თავის ხარჯზე ინახავდეს, 11 ნამდვილათ კი ინახავს მხოლოდ ოთხს (4) სასურველია ეს შეცდომა მთავრობამ გაამართლოს და შეინახოს არა 11, არამედ ყველა ცამეტივე სასწავლებელი.

ჩე—კოჩი.

წინასწარ შესასწავლად და მთავრობისათვის მოსახსენებლად.

— შესდგეს საუწყებათაშორისო კომისია გზათა დეპარტამენტის დირექტორის თავმჯდომარეობით. კომისიაში შევლენ: ფინანსთა, სახელმწიფო კონტროლის და მომარაგების უწყებათა წარმომადგენელნი ამ კომისიას დაევალოს ტყიბულის ქვა-ნახშირის გასაღების ხელშეკრულობის პროექტის შესწავლა და მთავრობისათვის მოხსენება.

— ხეთიდან სოხუმამდე რკინის გზის გაყვანის საკითხის ყოველ მხრივი გამორკვევა და მთავრობისათვის მოხსენება დაევალოს გზათა დეპარტამენტს, ამ საქმეზე შესაფერი მოლაპარაკების გამართვა ადგილობრივ ერობებთან მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს.

საზოგადოების საყურადღებოდ

აუარებელი ტელეგრამებით, წერილობით თუ პირადი თხოვნებით დასავლეთ საქართველოს ყოველ კუთხიდგან და ამ ბოლო დროს აგრეთვე დუშეთის მაზრიდან დაჟინებით თხოულობენ საქონლის ჭირის საწინააღმდეგო ასაცრელ შრატს.

ვეტერინარ სანიტარული განყოფილება იძულებულია მომეტებულ წილად ყველას უარი განუცხადოს, რადგან არ მოიპოვება არც ერთი წვეთი შრატისა, თუმცა კი გვაქვს შრატის დამამზადებელი სადგური.

არ იქნება, მე მგონია, უადგილო ვამცნოთ ყველას, ვინც კი დაინტერესებულია ამ კითხვით, შემდეგი: სადგური ამ წლის აგვისტომდის არსებობდა ქუთაისის სახაზინო შენობებში და ერთი წლის განმავლობაში ყოველთვიურად ამზადებდა 200 ლიტრამდის შრატს, რაც რასაკვირველია, წვეთი იყო ზღვაში შედარებით საქონლის ჭირის მსვლელობასთან. ვხედავდით რა ამას, განვიზრახეთ ჯერ კიდევ 1918 წლის შემოდგომაზედ სადგურის გაფართოვება, მაგრამ რადგან შენობების და საძოვრების ნაკლებობის გამო ადგილობრივ ეს მოუხერხებელი იყო, ამისთვის დავიწყეთ ძებნა სხვა შესაფერი ადგილისა სადგურის გადასატანად. ამასთანავე ამ წლის ივლისში ქუთაისის საშრატე სადგურის საქონელზედ იფეთქა ციმბირის ჭირმა და ამ გარემოებამ გვაიძულა ეს გადატანა დაუყონებლივ მოგვეხდინა, რადგან აღარც დატოვება შეიძლებოდა სადგურისა და ამ ეპიზოოტიის დროს შრატის დამუშავებაც საშიშო შეიქმნა.

ალაგის ამორჩევაში ჩვენ ვხელმძღვანელობდით შემდეგი მოსაზრებით: გამოვნახოთ ისეთი ალაგი, სადაც არის უკვე საკმაო შენობები, რომ მუშაობა—შრატის დამზადება არ შესწყდეს, იყოს საკმაო საძოვრები, ჯანსაღი ჰავა და სხვა შესაფერი პირობები.

ბევრი ალაგები ვნახეთ და მათში ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს სრულად აკმაყოფილებდა ს. ციხის ჯვრის ფერმა, კუთვნილი მიწათ მოქმედების სამინისტროსი.

მთავრობის დადგენილებით, თანახმად შინ. საქ. მინისტრის მოხსენებისა, ქუთაისის საშრატე სადგური გადატანილ იქმნა ს. ციხის-ჯვრის ფერმაში, მაგრამ დროებით, მომავალ წლის 1 იანვრამდის, რადგან მიწათ მოქმედების სამინისტრომ მოისურვა აღნიშნულ ფერმაზედ გაუმჯობესებულ მეწველ საქონლის მოშენება რაკი ასე იყო დაყენებული კითხვა, რასაკვირველია, არცა ღირდა შენობების რადიკალური შეკეთება და შეფერება ოპერაციებისთვის, რაც საზოგადოდ დიდ ხარჯს იწვევს.

მით უმეტეს, რომ გადასვლის ორი თვის შემდეგ მიწათ მოქმედების სამინისტრომ უკვე მოგვთხოვა დაცლა ფერმისა.

ამ გარემოებაში მყოფს სადგურს არ შეეძლო ნორმალურად და სისტემატიურად მუშაობა და ეს იყო უმთავრესი მიზეზი, რომ ამ ხანში გამოიმუშავა მხოლოდ 100 ლიტრი შრატი.

ძნელია გაზეთის ფურცლებზედ აღწერა შრატის დამზადების რთული ოპერაციების მსვლელობისა, მაგრამ, გვგონია, საკმაო იქნება ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ სადგურის ინვენტარი გადატანილ იქმნა ციხის-ჯვარში ცალკე მატარებლით და მოთავსებული იყო ოც ვაგონში, რაც ამტკიცებს ამ დაწესებულების სიდიდეს. ამ ინვენტარის გადატან-გადმოტანას, მოწყობას აუარებელი დრო, მუშა ხელი და ენერგია სჭირია და ამიტომ არც გასაკვირველია, თუ დღემდის სადგური, თავის ნორმალურ კალაპოტიდგან გამოვარდნილი, ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას.

ბევრი ძებნის შემდეგ ჩვენ გამოვნახეთ შესაფერი ადგილი საკმაო შენობებით და საძოვრებით ს. ტაბახმელაში, მელიქოვის მამულში, რომლის რეკვიზიციაც მოახდინა შინაგან საქმეთა მინისტრმა ოქტომბრის გასულს და ნოემბერში ხელმეორეთ მოგვიხდა აყრა ციხის ჯვრიდან და გამომგზავრება ტაბახმელისკენ, რომელიც მდებარეობს ათი ვერსის მანძილზედ თფილისიდან კოჯორისკენ.

საშრატე სადგურის გასაფართოვებლად საჭიროა პირველ ყოვლისა შეძენა საქონლისა, არა ნაკლებ 500 სული ხარისა და მათთვის საჭირო საკვებაც მასალისა და სადგომებისა.

მელიქოვის მამულში, როგორც წყალი, აგრეთვე საძოვრები და თვით მდებარეობის სივრცე ხელს უწყობს სადგურის გაფართოვებას, მაგრამ არ არის საოპერაციო შენობა და არც საჭირო ბოსლები საქონლისათვის. უამისოდ კი შრატის დამზადება და ამ ზამთარში საქონლის შეძენა ყოვლად შეუძლებელი და მოუხერხებელია. ამ გარემოებამაც უკან დააყენა შრატის დამზადება. დღეს სწარმოებს გაცხარებული მუშაობა ს. ტაბახმელაში, შენდება საოპერაციო შენობა, ბოსლები და იმედია ამ ერთს თვეში შეუდგება სადგური შრატის დამზადებასაც.

ამასთან საჭიროა აღვნიშნოთ ბევრი ეხლანდელ ცხოვრების პირობებით შექმნილი დაბრკოლებანი, რომელნიც ხელს უცარავენ საქმის დაჩქარებას და სადგურის ამუშავებას. ეს არის მუშების უშოვნელობა იმ ჯამაგირებით, რაც მიჩნეულია კანონით, სიძვირე ხელოსანთა ხელფასისა და კიდევ ათასი სხვა წვრილმანი, რომლის აღნუსხვაც აქ მოუხერხებელია.

სადგურზე მუშაობს მხოლოდ ორი ექიმი, რომელნიც ვერ სწვდებიან აუარებელ გრანდიოზულ მუშაობას და ვერც ვშოულობთ სხვა ექიმს და ფერშლებს მათ დასახმარად, რადგან ყველას აწ არსებული ჯამაგირი ეცოტავებათ და კატეგორიულ უარს აცხადებენ ჩვენს უწყებაში შემოსვლაზე.

ამ გვარად, ყველა ჩამოთვლილმა მიზეზებმა შეაფერხეს საქმე და თუ დღეს ჯერ ჯერობით შრატი არ მოგვეპოვება, ეს აიხსნება იმ ობიექტიური პირობებით, რომელთა მეოხებითაც პერსონალმა ვერ შესძლო საქმის სათანადოთ დაყენება და სადგურის ინტენსიურად ამუშავება. ვ. ლაშხაური.

ს.-დ. პარტიაში

სამტრედია. 28 ნოემბერს შესდგა სამტრედიის ს. დ. კოლექტივის კრება. პირველათ გაკეთდა საერთო მოხსენებები, საიდანაც გამოირკვა, რომ წყალდიდობას მიუყენებია ქალაქისთვის დიდი ზარალი. მდგომარეობის და წყალდიდობის შესახებ მოხსენება გააკეთა ქალაქის თავის ამხანაგმა გიორგი დუნდუამ (ს. დ. ფრაქციის სახელით). მან სთქვა: წყალდიდობას იწვევს ის გარემოება, რომ ძველათ აქ არხები გაუკეთებიათ ისე, როგორც ხონში, იმ დროს როცა ხონი სამტრედიაზე მაღლა მდებარეობს 28 არშინით. ამასთანავე არის სოფლებში ცხენის წყლის არხები) წყალდიდობის დროს არხებიდან გადმოდის წყალი და დაეშვება სამტრედიისაკენ. ამას ზედ ერთვის წისქვილების არხები, რომლებიც წყლის შეგუბებას უწყობს ხელს. საჭიროა ამ მოვლენასთან ფართო მასშტაბით ბრძოლა, ამაში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ სოფლებმა, რომელნიც სარგებლობენ ცხენის წყლით ნიადაგის გასაპოხიერებლათ.

იყო მრავალი შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა გასცა შესაფერი პასუხი და აღნიშნა, რომ ყველა კითხვების მოსაწესრიგებლათ საჭიროა არის თანხა, უფულოთ არაფერის გაკეთება არ შეუძლია ქალაქს და ფულის მოკრება (გადასახადის) მხოლოდ ამ ჟამათ იწყება.

კოლექტივი დაკმაყოფილდა მოხსენებით და გადაიდა მორიგ კითხვაზედ.

შემდეგ ამისა ბიუროს ერთ წევრათ არჩეულ იქნა ამხ. ამბროსი ალანია, რომელიც არჩეულ იქმნა აგრეთვე კოლექტივის თავმჯდომარეთ.

შემდეგი კითხვა იყო გვარდიის გაფართოვება რის შესახებაც მოხსენება გააკეთა რკ. გზის ქვე-რაიონულ შტაბის თავმჯდომარემ ამხ. ი. ფოცხვერიამ. მან აღნიშნა, რომ ჩვენი ამხ. გვარდიელებს დიდი ხნით უხდებათ ფრონტზე ყოფნა და საჭიროა მათი დასვენება, შეცვლა ახლებით, ამისათვის უნდა იქნეს ზომები მიღებული, რათა გადიდებული იქნას გვარდიის წევრთა რიცხვი.

ამხ. გ. დუნდუა ეხება დღევანდელ მომენტს და აღნიშნავს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის და გვარდიის არსებობის კითხვა ერთმანეთზე არის დამოკიდებული, სავალდებულოთ გავხადოთ პარტიის წევრებისათვის გვარდიაში ჩაწერა. ვისაც სწამს პარტია და მას ემსახურება, ის გვარდიელიც უნდა იყოს. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია: იქონია რა მსჯელობა გვარდიის გაფართოვების—გაძლიერების შესახებ, კოლექტივი სავალდებულოთ უხდის ყველა პარტიის წევრებს, ვინც კი გაზომდგება ამისათვის, გვარდიაში ჩაეწეროს.

დასასრულ კოლექტივმა აირჩია ქუთაისის მაზრის ს. დ. კონფერენციაზე დასასწრებლათ ამხ. სევერიანე ხვიჩია.

ლევანი-ძე.

მუშათა შორის

საარტილერიო საწყობი. როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეს, არ შემიძლია გვერდი ავუარო იმ პირთა უსამართლო მოქმედებას და თავიანთი მოვალეობის სრულიად არ შესრულებას, რომელთა წყალობითაც გამოწვეულია ჩვენი ხაზინის გაფლანგვა და რესპუბლიკის დასუსტება. მინდა აღვნიშნო, თუ რა ხდება არტილერიის საწყობში: ამ საწყობის უფროსს და გამგეს თავიანთი მოქმედებით მხოლოდ არევ დარევა და ანარქია შეაქვთ საწყობში.

ბატონი საწყობის უფროსი სამსახურში შემოსვლისთანავე შემცდარ გზას დაადგა, გამოსცა განკარგულება, რომლის ძალით ყველა საწყობში მოსამსახურე პირთ ევალებათ მხოლოდ 6 საათის სამუშაო დღის შესრულება. საწყობის გამგის თანაშემწენი კი თავიანთი გამოცემული ცალკე ცირკულიარით ავალებენ მუშებს რვა საათის სამუშაო დღეს და თვით თანაშემწენი კი 6 საათს უნდა მუშაობდენ. ასეთი ორნაირათ კანონის ახსნას და მოსამსახურეთა ორ ჯგუფათ გაყოფა დიდ არევ დარევას იწვევს.

მაგალითად: თუ საწყობის გამგის თანაშემწე, დილით ყველა მის ხელქვეით მოსამსახურეებზე ადრე არ მოვა სამსახურში, რომ არტელჩიკს საწყობის უკანასკნელი გასაღებები ჩააბაროს, რომლებიც სამსახურის გათავების შემდეგ ინახება საწყობის თანაშემწის ცალკე კანცელარიაში, არტელჩიკს მუშებთან ერთად, უხდებათ ტყუილ უბრალოთ ლოდინი, ამის მიზეზი კი არის ის, რომ თანაშემწეთ გვიან ეწყობათ სამუშაო დრო. გარდა ამისა, საწყობის ინვენტარი და ქონება სრულიად გამოურკვეველია, რომელსაც განაგებს ფაქტიურად არა საწყობის უფროსი, არამედ—ნიკოლოზის დროის ხაზინადარი ისე, როგორც მას სურს და რომელიც. თვეში ორი დღე არ არის საწყობში თავის თანამდებობაზე. საწყობის უფროსი ჯამაგირებს ან თუ სალიკვიდაციო ფულებს ისეთ პირთ ურიგებს, რომლებსაც სრულიად არ ეკუთვნით. ინვენტარზე სათანადო აღწერების შედგენის მაგიერ ბატონი საწყობის უფროსი, არ ვიცით ვისი ნებართვით, კერძოთ არიგებს. არტელჩიკებიდან დაითხოვეს ნიკოლოზის ზოგიერთი გენერალ პოლკოვნიკები. (ალბათ შეგნებული მუშების მათზე უკმაყოფილობის გამო). საწყობის სუსტმა ადმინისტრაციამ გაავრცელა მხოლოდ ხმები იმავე გენერალ-პოლკოვნიკების მეოხებით, რომ ვითომ მათი გაძევება მოახდინეს. ნამდვილად კი ეს ბატონები დღემდი ჯამაგირს თავის დროზე უკლებლათ ღებულობენ და სამსახურიდან კი გაანთავისუფლეს მართლაც. საქმის მცოდნე ხალხს კი სრულიად უმიზეზოდ აძევებენ სამსახურიდან.

რაც შეეხება არტილერიის სარდაფების გატეხას, არავითარი ამის დაგვარი არ ხდება გარედან და თუ ამას ადგილი აქვს ისევ „შიგნიდან".

არტილერიის საწყობში საჭიროა შემდეგი რეორგანიზაცია მოხდეს:

უპირველეს ყოვლისა აუცილებლათ უნდა იქნას „ბირჟევოი არტელი" დაშლილი, ზოგიერთი მათი წევრების პასუხისგებაში მიცემით. საწყობის გამგე უნდა გამოიცვალოს და მის მაგივრათ უფრო მომქმედი პირი დაინიშნოს, რომლებიც საკმაოდ მოიძებნებიან ჩვენს რესპუბლიკაში, აუცილებლათ ხაზინადრის მოვალეობა უნდა დაეკისროს კეთილსინიდისიერ მოქალაქეს. თუ ეს ცვლილებები ახლო მომავალში არ მოხდა, არტილერიის საწყობის მდგომარეობა მეტად უნუგეშო მდგომარეობაში ჩავარდება. ჩვენ გვრწამს, რომ არტილერიის საწყობის შეგნებული მუშათა და გვარდიელთა დაკავშირებული მძლავრი ძალა არსენალის ყოველივე ბოროტებას სძლევს. კ. ი. შალამბერიძე.

P. S. აქვე უნდა ითქვას, რომ საწყობის გამგის მიერ დაშვებული შეცდომები არ არის მის მიერ წინასწარ განზრახვებით ჩადენილი.

ბათუმი. ამ დღეებში აქ მოხდა რკინის გზის დეპოს მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის სექციის გამგეობის არჩევნები. არჩევნებში გამოვიდნენ ორი მოწინააღმდეგე ჯგუფი: პირველი ბათუმის ს. ს. დ. მ. პ. და მეორე რ. ს. დ. მ. პ. (ინტერნაციონალისტები) პირველმა გაიყვანა სამი კაცი გამგეობაში, მეორემ—პეტროვის, სტეფანოვის და ძმათა მათთა ჯგუფმა კი ოთხი. აქედან ცხადია, თუ ვინ ყოფილა აქ უმრავლესობაში. ეს კი იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენებს მართებს გაათკეცებული მუშაობა. გ. ა—ბელი.

(მადლობის წერილი ტყიბულის ქვანახშირის მაღაროების მუშა მოსამსახურეებს).

შრომის უფასო წ.-ს. სამკითხველოს გამგეობამ მიიღო შემოწირულება, შეგროვილი თქვენს შორის, მოლარის კალისტრატე მათესძე გველესიანის მიერ, ათას ას ორმოცდა ცამეტი მან. და 6 კაპ. (1153 მ. 6 კ.) სამკითხველოს სასარგებლოთ დიდათ სასიხარულოთ მიგვაჩნია ის თანაგრძნობა, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ, როცა დახმარება აღმოუჩინეთ თქვენთვის უცხო სოფლის სამკითხველოს. გიძღვნით ულრმეს მადლობას ყველა იმ პირებს, რომლებმაც არ დაიშურეთ თქვენი წვლილი ჩვენი სამკითხველოსთვის. აგრეთვე მადლობას ვსწირავთ მაღაროების მოლარეს კალისტრატე მ. გველესიანს.

შრომის სამკითხველოს გამგეობა.

პროვინცია

გორის მაზრა. 15 დეკემბერს, გორის სამაზრო ერობის გამგეობის ინიციატივით, გორში მოწვეულ იქნა გორის მაზრის დემოკრატიული ყრილობა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ სამაზრო ერობის ხმოსნები. გორის მაზრაში არსებული ქალაქების თვითმმართველობათა, მაზრაში არსებული თემთა გამგეობათა, სახალხო გვარდიის შტაბებისა, საზოგადოებათა და მაზრაში მომქმედ პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები. ამათ გარდა ყრილობას დაესწრენ დამფუძ. კრების წევრები კ. ნინიძე, ნ. იმნაიშვილი, ვ. ლაბაძე, ვ. ტატიაშვილი, ს. დადიანი, ს. მაჭავარიანი და სხ. ყრილობა იმდენათ მრავალ რიცხოვანი აღმოჩნდა, რომ საგანგებოთ გამზადებული სამაზრო ერობის დარბაზი პატარა დარჩა და გამართულ იქნა გორის ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში. თავმჯდომარეთ აირჩა მ. ახალაძე, ამხანაგათ ს. მაჭავარიანი და მდივნებათ დ. მელიქიძე, დავ. ეჯნატაშვილი. ყრილობის მიზანი იყო, გორის მაზრაში უკანასკნელ ანარქო ბოლშევიკური გამოსვლების მიზეზების გამორკვევა და მასთან ბრძოლა. ყრილობაზე დაისვა შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება არსებულ მდგომარეობის შესახებ; 2) მოხსენება გორის მაზრაში უკანასკნელ მომხდარ ამბების შესახებ; 3) მოხსენებები ადგილებიდან.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა კ ნინიძემ, მეორე საკითხის შესახებ სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ—მ. ახალაძემ. ამის შემდეგ კრება შეწყდა ერთი საათით. ყრილობის განახლებისას გაიმართა კამათი მოხსენებების შესახებ, კამათში მონაწილეობა მიიღეს დამფუძნებელ კრების წევრებმა ს. დადიანმა, ს. მაჭავარიანმა, ვ. ტატიაშვილმა, ნ. იმნაიშვილმა და სხვებმა.

თავმჯდომარემ მ. ახალაძემ კრებას გადასცა, რომ ცხინვალის ფრონტზე მომქმედი სახალხო გვარდია და გორის სახალხო შტაბის თავმჯდომარე ი. გაბელაა პირით ულოცავს ყრილობას, ყრილობა ამ განცხადებას ხვდება ფეხზე ადგომით, ტაშის კვრით და გაუმარჯოს გვარდიას და ჯარს—ძახილით. ყრილობამ ერთხმათ გადაწყვიტა გაეგზავნოს მილოცვები: მთავრობას, დამფუძნებელ კრებას ჯარს და გვარდიას. ხანგრძლივი კამათის შემდეგ ყრილობამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: გორის მაზრის დემოკრატიული ყრილობა საზოგადოებათა, თემთა, სამაზრო ერობის ხმოსანთა, მაზრის ქალაქების თვითმართველობისა, გვარდიის შტაბისა და პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენლებისა, შეგროვილი ქ. გორში 14 დეკემბერს 1919 წ. აღიარებს:

1) რომ ე. წ. „ბოლშევიკური" გამოსვლები, რომელსაც ადგილი ჰქონდა გორის მაზრაშიაც და რომლებიც მთავარ როლს—აშკარათ დადასტურებულ ცნობების თანახმათ, თამაშობდნენ ხულიგნურ—ყაჩაღური ელემენტები, ხელს უწყობდნენ იმ შავ ძალების მოახლოვებას რომლებიც იკრიბებიან დენიკინის გარშემო ძველი რუსეთის აღსადგენათ.

2) რომ ეს შავი რეაქციონური ძალები ჩვენში გამოდიან ხშირათ „ბოლშევიკური" სახით, რომ ამ ნიადაგზე უფრო ადვილად აუხვიონ თვალი ჩვენს მშრომელ ხალხს და ამ რიგათ უდიდეს შედეგებს მიაღწიონ.

3) რომ ყველა ამათი და მთელი ჩვენი მტრების ცდა იქითკენაა მიმართული რომ დაანხიონ საქართველოს დემოკრატიული წყობილება, რომელიც შექმნილია ჩვენი მუშების და მშრომელი გლეხკაცობის ხანგრძლივი ბრძოლით და სისხლის ღვრით, და გაანადგურონ ჩვენი ერის პოლიტიკური დამოუკიდებლობა და სახელმწიფო, ადგენს:

1) ყოველი საშუალებით და გზით შეებრძოლონ ჩვენი მტრების ასეთ სურვილებს და ზრახვებს, უსასტიკესი ზომები მიიღონ მათ წინააღმდეგ ყველგან და ყოველთვის.

2) წინადადება მიეცეს სამაზრო ერობას დამფუძნებელი კრების მითითებით და მთავრობის ხელმძღვანელობით შეეცადოს ცხოვრებაში გაატაროს საჭირო ზომები გორის მაზრაში.

3) კატეგორიულათ მოეთხოვოს მაზრაში არსებულ ყველა თემებს, რომ მათ განსაკუთრებული თვალყური ადევნონ სოფლის საეჭვო პირებს, მობალშევიკო და ყაჩაღ ელემენტებს და სწრაფი ზომები მიიღონ მათ წინააღმდეგ.

4) წინადადება მიეცეს ერობის ყველა ორგანოებს, რომ მათ სასტიკათ ადევნონ თვალ-ყური რათა ყველა კანონები სავსებით ტარდებოდეს ცხოვრებაში და მიიღონ ყოველივე ღონისძიება, რომ ხელი შეეწყოს მიწის რეფორმის დაჩქარებით დამთავრებას. ყრილობა აგრეთვე გამოსთქვამს სურვილს:

1) დაარსებული იქმნეს სამაზრო ერობის გამგეობასთან, საპროპაგანდო ფონდი, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება მომუშავეთა სპეციალური კადრის შექმნა სოფლებისათვის.

2) ამისთვის წინადადება მიეცეს ერობის გამგეობას და მაზრის ქალაქთა თვითმართველობებს გაიღონ დაუყონებლივ თავიანთი წვლილი ამ მიზნისათვის.

3) ეთხოვოს დამფუძნებელი კრების საპროპაგანდო კომისიას, რათა მან უპირველესი ყურადღება მიაქციოს გორის მაზრაში მუშაობას და ამისთვის სისტემატიურათ გზავნოს მაზრის ყველა კუთხეებში, როგორც დამფუძნებელი კრების წევრები, იგრეთვე სხვა საიმედო მაზრასთან გაცნობილი პირი. ყრილობა ამით დამთავრდა.

ი. ქუტირელი.

ცნობები

უცხოეთიდან დაბრუნებულთა ყველა, როგორც ჯარისკაცებს აგრეთვე თანამდებობის პირთ სამხედრო უწყებისა, უმორჩილესად ვსთხოვთ კეთილი ინებონ და მაცნობონ თუ რაიმე იციან ჯარისკაცი: თეოფანე და პეტრე გუჯუს ძენი დიხამინჯიებისა, (სოფ. ჯოლევის სენაკის მაზრის მცხოვრებნი).

პირველი იყო გერმანიის ფრონტზე და მეორე კი კავკასიის ფრონტზე, როგორც ცნობებიდან სჩანს, ერთ დროს ყარსის აღებაშიაც ღებულობდა მონაწილეობას.

მისამართი: ჩხოროწყუ (ზუგდიდის მაზრა) აფთიაქს გამგე დიმიტრი გვატის ძე დიხამინჯია. ყოველგვარი ხარჯებისათვის პასუხს ვაგებ.

პატივისცემით დ. დიხამინჯია.

განცხადებანი

30 წიფობისთვის

დავკარგე

ნატანებ ოზურგეთის გზაზე შავი მატერიის პლაში. მნახველს ვსთხოვ გამომიგზავნოს ოზურგეთში წიგნის მაღაზია „განათლებაში" მე ბარნაბ მენაბდეს, რისთვისაც მიიღებს საჩუქარს.
(3312—2—1)

ამ სამი თვის წინათ სახლიდან გაიპარა და უგზო-უკვლოდ

დაიკარგა სულით ავათმყოფი ქალი

38 წლისა, ტანათ საშუალო, გამხდარი, მარცხენა ხელზე ცერთან აქვს ნიშანი. თმა გადაპარსული. თუ ვინმემ რაიმე იცის მის შესახებ ვსთხოვ შემატყობინოს ქ. სამტრედიაში კოლია გაჩეჩილაძეს, რისთვისაც მიიღებს ჯილდოს—1000 მანეთს. (3302—2—2)

ორი ძროხა

ზავოდის ჯიშის იყიდება კიროჩნი ქუჩაზე № 49, ბინა 4.
(3303—2—2)

ექიმი ქალი ა. ა. [illegible] მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებას სიფილისის წამლობა (606—914) დილის 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლეხანოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—26

ექიმი მ. ა. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914". ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] უფასოდ დილით. მისამართი: [illegible] ქუჩა № 33.

ექიმი ნ. [illegible]
იღებს შინაგან, საშვილოსნო და ქალურ სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 1—2 და საღ. 4—5, გარდა [illegible] და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 8—9. მისამართი: ნიკოლოზის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს.
(თ.—3023

ექიმი დ. გ. ჯავახიშვილი.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა

გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჭლექების ოპერაცია—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.
3230—თ.

ქალ. სამტრედიაში
ექიმი ი. ი. ჭეიშვილი იღებს განსაკუთრებით სიფილისით (წამლ. „606" და „914") ვენერიულ (ტრიპერი და მათი შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტელეფონი 35. (2950—თ.)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბავშვის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩა № 28.
(თ. 3065).

ექიმი ა. [illegible]
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრივე გამოკვლევა და ფიზიკური მეთოდებით აქიმობს გულის, ფილტვების, კუჭის და ჭლექების ავათმყოფობათ. რენტგენის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № 5 გონიეღლოვისა, ბინა № 3. მიღება დილის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 საათამდე. (თ. 2642)

ექიმი კ. ტუშმალიშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, სიფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5—7 საათამდე. (2925)

ოზურგეთში ექიმი ს. მ. [illegible]
მიიღებს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და წელების. ჭლექის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფაციდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით, კ. სიხაიშვილის სახლში. (კუპ. 582)

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87, ავლაბრის აუდიტორიის ახლო.

ვაგზლის კერძო სამკურნალო

(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვერდით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ვართანოვი—ვენერ. და კანის სნ. ყოველდღე 1—2.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეულ. და საბებიო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოხელიანი ქალთა სნეულ. სამშ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოველ დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მან. ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914".
(2930—თ.)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამოს 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევის ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთიაქის ახლო. (2849—თ.)

ექიმი ნიკოლოზ [illegible]
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. (ზემელის აფთიაქის ახლოს).
(2795—თ.)

ექიმი ბ. დ. [illegible]
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914", მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროსპ. სასტუმრო „ნოვ"-ს პირდაპირ № 116 ტელ. 14—28

ულრმეს მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომელთაც რწმუნებულ ჩვენდამი სასწავლებლის მეოთხე კლასის გარდაცვალებულ მოწაფის დავით ინწკირველის ხსოვნის აღსანიშნავად ღარიბ მოწაფეთა სწავლის ფულისგან გასანთავისუფლებლად შემოსწირეს: განსვენებულის ძმამ—პროკოპი ინწკირველმა—600 მან., განსვენებულის ნათესავებმა და მეზობლებმა: იოსებ და ყანო დანდოლაძეებმა—100 მან., მელიტონ ნაჭყებიამ—100 მან., პოლიკარპე ინწკირველმა—100 მან., ალექსანდრე ძოლახაძემ—100 მან., ივანე ალექსის ძე ქადეიშვილმა—90 მან. და შალვა კილაძემ—100 მან.

ოზურგეთის უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის პედაგოგიური საბჭო.
(3313—1—1)

[illegible]